# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 22 ნოემბერი 2007 №271 (3194)

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბედი მაინც გვაქვს სირაძე სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა!



საქართველო

0:2

ლიტვა











# მადლობა ღმერთს, გადავრჩით!

**საქართველო — ლიტვა.** მე-80 წუთი... ღმერთმა ინება და, ეს დრო საშინელებად არ უქცია სირაძეების ოჯახს, ქართულ ფეხბურთს თუ უბრალო ქომაგს...

გედემანის პაულაუსკასის თავი დავით სირაძეს ყბაში ძლიერად მოხვდა და... დათო მოწყვეტით ეცემა, ხელ-ფეხს არ ამოძრავებს, ყველა ხვდება, რომ რაღაც ცუდი ხდება, მაგრამ ამაზე ფიქრიც კი ძალიან შემზარავია და იქნებ... იქნებ არ გაგვწიროს ღმერთმა, იქნებ შეიძლება უბედურებისგან თავის დაღწევა...

დათოსთან პირველი ლევან მჭედლიძე გაჩნდა, მერე ჯაბა კანკავამაც მიირბინა... წამებიც და სირაძე ფეხბურთელთა და მსაჯთა ალყაშია, ყველა ხელს იქნევს, ყველა ექიმებს ეძახის, ყველა შველას ითხოვს...

მართლა ძნელია ამ ყველაფრის ყურება, მით უმეტეს მაშინ, როცა შენს გვერდით დათოს დედა, მამა, ძმა სხედან და... თუმცა სადღა სხედან...

ლევან მჭედლიძე — ეს სახელი და გვარი მხოლოდ კარგი მეგობრის, კარგი ფეხბურთელის, კარგი ქართველის სახელი და გვარი აღარ არის სირაძეებისთვის. ეს 17 წლის ბიჭი გუშინ ღვთის ძალად იქცა მათთვის...

— საშინელი მომენტი იყო... მიჭირს ლაპარაკი, რა გითხრათ, არც ვიცი — *ლევანისთვის კომენტარის გაკეთება იოლი ნაღდად არ იყო, მაგრამ* — მადლობა ღმერთს, გადარჩა! დათო ცოცხალია!

— პირველმა შენ ნახე მოედანზე უგონოდ წაქცეული სირაძე. რა გაიფიქრე, როცა დახედე?

— კარგი არაფერი. კვდებოდა, მაგრამ რა გამეკეთებინა, არ ვიცოდი... არა, ეს რაღაც საშინელება იყო...

— რა გაგეკეთებინა, არ იცოდი, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, სწორედ შენ გადაარჩინე...

— ენას ყლაპავდა და... დავუჭირე, მაგრამ ეს როგორ შევძელი არ ვიცი. პირი ძლივს გავაღებინე... მე კი არა, ღმერთმა გადაგვარჩინა...

— მერე კი ექიმებიც შემოგეშველნენ...

— მაგის მერე აღარაფერი მახსოვს... როგორც კი მივხვდი, რომ დათო ჩემზე უფრო საიმედო ხელში იყო, გავითიშე...

— და მოედანზე განწირულივით გაკოტრიალდი... ეს ალბათ ნერვიულობის ბრალი იყო...

— ალბათ... მართლა აღარ მახსოვს...

— მოგვიანებით, ერთ მომენტში ყველამ სასოწარკვეთილი გამომეტყველება მიიღო. მაშინ რა მოხდა?

— ენა გვეკარგებოდა და... ყველამ უბედურება გაიფიქრა, მაგრამ გადავრჩით...

— მოკლედ, ღვთის ნებით, ყველაფერი კარგად დამთავრდა. შენ კი თითები გაქვს დაშავებული...

— ცოტა მტკივა, თუმცა ამას რას დავეძებ. მთავარია, დათო კარგადაა...

ლევანი მეტად აღარ შევაწუხებია. აშკარაა, მისთვის ჩვენთან ლაპარაკი იოლი არ იყო და, რაც გვითხრა, იმისთვისაც მადლობელნი ვართ.

ერთხელაც ვთქვათ, საბედნიეროდ, უბედურებას გადავურჩით, დავით სირაძე სამოთხ წუთში მოსულიერდა, გონზე მოვიდა, სასწრაფო დახმარების მანქანაში ჩასვეს და... ზემოთ დათოს დედ-მამა ვახსენეთ. იოლი წარმოსადგენია, რა დღეში იყვნენ მთელი ამ ხნის განმავლობაში და სარბენ ბილიკზე ჩასულები, მანქანაში ისინიც ჩასხდნენ...

მსაჯმა თამაშის გაგრძელება ბრძანა, მოედნის ცენტრში კი ლევან მჭედლიძე იდგა, ჯერ პირჯვარი გადაიწერა, მერე ხელები ცაში აღმართა და...

მან გუშინ სიცოცხლე გადაარჩინა...

და ერთიც: გუშინვე ნაკრების ექიმს, დიმიტრი ზაალიშვილსაც ვესაუბრეთ: „დათო უკვე გონზეა და საშიში აღარაფერია. თავზე ტომოგრაფია გადაუღეს და ახლა რისი თქმაც შემიძლია, ეს არის — ტვინის შერყევა აქვს. ახლა ექიმები კიდევ რამდენიმე გამოკვლევას ჩაუტარებენ და იმედია, რამდენიმე დღეში გამოწერენ კიდეც. ლევან მჭედლიძემ ძალიან იყოჩაღა, მერე ჩვენც მივეხმარეთ და მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დასრულდა“.

ჩვენც, სარბიელელები, დავით სირაძეს მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ!

**ქახა შალამბერიძე**

**გურამ დოლენჯაშვილის და ბადრი ქეთილაძის ფოტოები**





დავით სირაძის მშობლები





**მადლობა** ღმერთს, გადავრჩით! — რესპუბლიკური საავადმყოფოს მისაღებში ყველა ამას იმეორებდა. დავით სირაძის ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები, ნაკრების ფეხბურთელები, ყველანი იქ იყვნენ.

საბოლოო დიაგნოზი ასეთია: სირაძეს მწვავე ფორმის ტვინის შერყევა აქვს, თუმცა, საბედნიეროდ, საშიში არაფერია. როგორც ექიმებმა გვითხრეს, დათოს მალე გამოწერენ საავადმყოფოდან.

საავადმყოფოში დავით სირაძის მამას, ბატონ სოსოსაც გავესაუბრეთ — ღმერთმა დაგვიფარა და უბედურებას აგვარიდა, როგორც ექიმები გვეუბნებიან, კრივში რომ ნოკაუტში ვარდებიან, ისეთი ფორმა არისო. მე და ჩემი მეუღლე სტადიონზე ვიყავით. დათო რომ ცუდად გახდა, საშინელ დღეში ჩავვარდით. მერე, როგორც იქნა, მოვახერხეთ სასწრაფოს მანქანამდე მისვლა. რესპუბლიკურში მოვედით თუ არა, რამდენიმე წუთში ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, კოტე და გიორგი გაბაშვილები და ალექსანდრე ლომაია მოვიდნენ. შემდეგ ნაკრების მწვრთნელები, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები... ახლა კი ხედავთ, რომ დათოს მეგობრები მოდიან და მოდიან. ყველას ძალიან დიდი მადლობა თანადგომისთვის. ღმერთმა ყველა დალოცოს და გააძლიეროს...“

**ნუგზარ ლოლაძე**

VEGA SLOT POKER CLUB

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

თბილისი. 21 ნოემბერი. 19.30 საათი. ეროვნული. 30 000 მაყურებელი

## საქართველო 0:2 ლიტვა

0:1, 0:2 კსანავიჩიუსი (52, 90)

**საქართველო:** მაკარიძე, სალუქვაძე, ასათიანი, კალაძე, კვირკველია, მენთეშაშვილი (მარცვალაძე 33), კანკავა, ცქიტიშვილი, ყენია, სირაძე (გელაშვილი 80), მჭედლიძე
*სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე; შაშიაშვილი, ა. კვახაძე, დეკანოსიძე, სანაია
**მწვრთნელი:** კლაუს ტოპმიოლერი

**ლიტვა:** კარჩემარსკასი, სტანკევიჩიუსი, ჟვირგჟდაუსკასი, შკერლა, პაულაუსკასი, დედურა, ალუნდერისი, კსანავიჩიუსი, სავენასი (კალონასი 67), მიკოლიუნასი (მორინასი 76), იანკაუსკასი (ველიჩკა 56)
*სათადარიგონი:* გრიბაუსკასი; ლაბუკასი, კლიმავიჩიუსი, პაპეკისი
**მწვრთნელი:** ალგიმანტას ლიუბინსკასი

**გაფრთხილება:** იანკაუსკასი (35), კარჩემარსკასი (83), კალონასი (90)

**მსაჯები:** ა. სტავრევი; ლ. კრშტევსკი, მ. კიროვსკი; დ. მეჩკაროვსკი (ყველა მაკედონია)

**უეფას დამკვირვებელი:** ა. შლუხტერი (შვეიცარია)
**დელეგატი:** ი. ლეკოვი (ბულგარეთი)



# ჯადო

## ქართველებს თავი კარმა და კარჩემარსკასმა დაახრევინეს

კობა ინასარიძე

**სამწუხაროა,** რომ საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთი შესარჩევი ციკლი ასეთი სამარცხვინო შედეგით ჩაამთავრა და ექვსი მეტოქიდან ცხრილში მხოლოდ უსუსურზე უსუსური ფარერები მოიტოვა. ცხრილი ყველაფერზე მეტყველებს — 12 თამაში და მხოლოდ 10 ქულა.

კიდევ უფრო საწყენია, როცა ორწლიანი შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩს შინ მეტ-ნაკლებად ტოლსწორ მეტოქესთან თამაშობ, შეგიძლია, მეექვსე ადგილი მეხუთეზე გაცვალო და ამას ვერ ახერხებ...

დასანანია, რომ საქართველოს ნაკრებმა თითქოს თავის დაიჭირა, მძლავრი შოტლანდია უსიტყვოდ დასცა, შემდეგ ყატარშიც მოიგო და ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად შინ ლიტვასთან წააგო...

ცუდია, რომ ეროვნული გუნდის მწვრთნელის ოპონენტებს და არა მხოლოდ მათ, სათქმელი ექნებათ — საქართველომ შოტლანდიას შემთხვევით მოუგო და კლაუს ტოპმიოლერს მხოლოდ ფარერების დამარცხებით შეუძლია, თავი მოიწონოსო. ტაბლოზე ყველაფერი ჩანს და ამ ხალხს ვერც მიედავები.

გულსატკენია, რომ საქართველოს ნაკრებმა გუშინ მთელი გული და სული „ეროვნულის" მოედანზე დატოვა, მეტოქეს თითქმის ყველა საფეხბურთო კომპონენტში აჯობა, თავი არავინ დაზოგა, უამრავი საგოლე მომენტი შექმნა, ბოლოს კი მაინც წააგო. გუშინ, ისევე, როგორც რამდენჯერმე აქამდეც, იღბალი აშკარად მეტოქისკენ იყო. ბურთი არა და არ შედიოდა ჟილრუნას კარჩემარსკასის კარში.

–კლაუს ტოპმიოლერს ახალი არაფერი გამოუგონია. უკვე ნაცნობი და მოსალოდნელი შემადგენლობითა და ტაქტიკური მონახაზით დაუხვდა ლიტველ სტუმრებს. თავის მხრივ, მისი კოლეგა ალგიმანტას ლიუბინსკასის ჩანაფიქრიც არ იყო ძნელი გამოსაცნობი — ლიტვა თავს დიდი ძალებით იცავდა, სტუმრები მასპინძლებს მაქსიმალურად უზღუდავდნენ სივრცეს და დროის გარკვეულ მონაკვეთში მეტოქის ნახევარზეც პრესინგს მიმართავდნენ. ლიტვას წინ მხოლოდ ედგარას იანკაუსკასი ჰყავდა, თუმცა მარჯვენა ფლანგიდან შაულიუს მიკოლიუნასი ეხმარებოდა. ეხმარებოდა, მაგრამ არც მას, არც სხვა ლიტველს შეტევაში სახეირო არაფერი გამოსდიოდა.

საწყის 10-15 წუთში საინტერესო ვერაფერი ვნახეთ, შემდეგ კი ჩვენებმა ნელ-ნელა ტემპს მოუმატეს და ლიტველთა კართანაც ძალიან დაცხა. მარჯვენა ფლანგიდან ზურაბ ხიზანიშვილი აწვებოდა მეტოქის დაცვას, საპირისპირო ფლანგიდან ლევან მჭედლიძე და დავით კვირკველია. შეტევისას მჭედლიძე საჯარიმოსკენ მიიწევდა, ფლანგზე კი კვირკველიას ზონა უთავისუფლდებოდა და ამით სარგებლობდა კიდეც, რამდენჯერმე ძალიან სახიფათოდაც ჩააწოდა.

პირველი სახიფათო დარტყმულიც მატჩის დასაწყისში, სწორედ კვირკველიასი იყო. მეკარეს ბურთი ხელებიდან გაუვარდა და დავით სირაძე დროულად რომ გაქცეულიყო, გოლი გარდაუვალი იქნებოდა. სირაძესვე მატჩის დაწყებიდან ნახევარ საათში ჰქონდა რეალურზე რეალური მომენტი — კარჩემარსკასთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბურთი მეკარეს ველარ ააცილა. ამ ეპიზოდში პასი ლევან ყენიასი იყო, ვინც მოედნის შუაში ახმახ ანდრიუს სკრელასა და მანტას სავენასს ბრძოლაში აჯობა და ბურთი კარისკენ წაიღო. საჯარიმოს მიახლოვებულმა ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ურტყამდა, ამ დროს კი სირაძე მეკარეს შეატოვა. ლიტვა მაგრად გადარჩა.

ბალტიისპირელები ასევე ბედად გადარჩნენ, როცა კვირკველიამ მარჯვნიდან საჯარიმო შეასრულა. ბურთი მცველებსა და შემტევებს შორის გაძვრა და შორეულ ძელს მოხვდა. ჩვენების ერთი, მეორე ან მესამე და მეოთხე შეტევიდან რომელიმე შედეგიანად რომ დამთავრებულიყო, ვეჭვობთ, ლიტვას თბილისიდან სამი კი არა, ქულა მაინც წაეღო.

შესვენებამდე ჩვენები მოედნის ბატონ-პატრონები კი იყვნენ, თუმცა შტურმს ერიდებოდნენ, თანაც აქტიურ მენთეშაშვილს ბარძაყის კუნთი დაეჭიმა და შეცვლა ითხოვა. მის ნაცვლად ოთარ მარცვალაძე გამოჩნდა, რომელიც ისეთი სასარგებლო ვერ იყო, როგორიც მენთეშაშვილი.

შესვენების შემდეგ კი ჩვენებმა მარწუხებს მოუჭირეს და უფრო აგრესიულად და ტემპში განაახლეს თამაში. ლიტველთა დაცვის ხაზი ძალიან დაბნეული ჩანდა. სტუმრები რის ვაი-ვაგლახით ახშობდნენ შეტევებს და ბურთს უმისამართოდ იგერიებდნენ. ის იყო, ლიტველთა კარში გოლი უნდა გვენახა, პირიქით რომ გამოვიდა. ჩვენი მცველების ერთი შეცდომა და ანდრიუს კსანავიჩიუსმა მთელი სტადიონი დაადუმა. მან დაახლოებით 20-25 მეტრიდან დაარტყა, დაფარება კი ვერავინ შეძლო. ბურთი სველმა გაზონმა აისხლიტა და გიორგი მაკარიძისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა — 0:1.

ლიუბინსკასმა კი იქვე შეცვლა გააკეთა და დაცვის ხაზი კიდევ უფრო გააძლიერა. მიკოლიუნასის გარდა ყველა ლიტველი საკუთარი საჯარიმოს პერიმეტრზე გამაგრდა. ერთ მცველს ერთბაშად ორი-სამი პარტნიორი აზღვევდა, რაც, ცხადია, ქართველების საქმეს ართულებდა. თუმცა, პირველ ყოვლისა, ყენიას ეფექტური და გონივრული თამაშით მასპინძლები მაინც ახერხებდნენ ბურთის საჯარიმოში შეტანასა და ერთიმეორეზე სახიფათო მომენტების შექმნას. კუთხური კუთხურს მოსდევდა, დარტყმა დარტყმას, მაგრამ ზუსტი არც ერთი გამოდგა.

ყენიას მორიგი იდეალური პასის შემდეგ კახა კალაძემ მაკრატელათი ორი-სამი მეტრიდან დაარტყა და ყველას რომ გოლი ეგონა, ბურთი ისევ ძელს მოხვდა. თავად ყენიამ საჯარიმოს ხაზიდან რომ დაარტყა, ბურთმა ხარიხას გადაუფრინა. შემდეგ ჯაბა კანკავას ჯერი დადგა და ვერც იმ ეპიზოდში გავიხარეთ.

ეს უკვე შტურმი იყო, ბურთი ლიტველთა ნახევარს არ გასცილებია, მაგრამ მათი კარი მონუსხულს ჰგავდა. მთელი ლიტვის ნაკრები კი ბურთს ამბრაზურასავით ელობებოდა. თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე ტოპმიოლერმა ლევან მჭედლიძე სირაძეს შეუწყვილა, ფლანგი მთლიანად კვირკველიას დარჩა და შეტევებიც კიდევ უფრო გამძაფრდა. ლიტველებს ბურთის მოგერიებამდე ერთი სული ჰქონდათ და აღარ დაეძებდნენ, საით დაარტყამდნენ... ამასობაში კი მე-80 წუთი დადგა და...

მადლობა ღმერთს, ნაკრები, ქომაგი, ქვეყანა და სირაძეების ოჯახი დიდ უბედურებას გადაურჩა. ბურთისთვის ბრძოლისას გედემანის პაულაუსკასმა დავით სირაძეს თავი სახეში ძლიერად ჩაარტყა. დათომ გონება დაკარგა და რამდენიმე წუთის შემდეგ სასწრაფოთი გადაუდებელი მედიცინის ცენტრში გააქანეს...

თამაში გაგრძელდა. სირაძის ნაცვლად ნიკა გელაშვილი შევიდა. ჩვენების შეტევები არ განელებულა, ლიტვას უფრო და უფრო უჭირდა, მაგრამ არაფერიც არ გამოვიდა. სამაგიეროდ, გამოუვიდათ ლიტველებს — მარიუს სტანკევიჩიუსმა მარჯვნიდან კონტრშეტევა წამოიწყო, ბურთი ჩვენების კარამდე შეუფერხებლად ჩაიტანა და იქ უკვე მარტოდ დარჩენილ იმავ კსანავიჩიუსს დაუგორა, რომელმაც ორიოდ მეტრიდან აუღელვებლად შეაგორა ბურთი შორეულ კუთხეში. ეს გოლი არც ჩვენებისთვის, არც ლიტველთათვის აღარაფერს ნიშნავდა. თამაში უკვე წაგებული იყო... მსაჯმაც მატჩი მაშინვე დაამთავრა...



აუდრიუს კსანავიჩიუსის მეორე გოლი

# ბიჭებმა იციან: ფეხბურთი მშვენიერია



**გუშინწინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა თბილისში ევროპის შესარჩევ მატჩში რუსი თანატოლები დაამარცხეს (2:0) და სრულიად საქართველო გაახარეს. ამ გამარჯვებას თავისი გმირებიც ჰყავს – ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელები. ორ მათგანს, ბექა გოცირიძეს და მირზა ბჟალავას გუშინ „ნორჩ დინამოელზე" შევხვდით. ბექა და მირზა ძველი თანაკლუბელებიც არიან. ორივენი ჯერ „ამერში", მერე „ზესტაფონში" თამაშობდნენ ერთად. გოცირიძე ახლაც „ზესტაფონშია", ბჟალავა კი ავსტრიულ „ლუშტენაუში" თამაშობს.**

**საუბარი რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრების კარში მეორე გოლის გამტან ბექა გოცირიძესთან დავიწყეთ:**

— როგორ ფიქრობ, ეს გამარჯვება რამ მოიტანა?

— საქართველოში ბევრს ეგონა, რომ ჩვენ რუსებს ვერ მივუგებდით, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს შევძელით და უზომოდ გახარებული ვარ. გამარჯვება რამდენიმე ფეხბურთელის დამსახურება არ არის, მთელმა გუნდმა კარგად ვითამაშეთ. პეტარ სეგრტის წვლილი კი ამ გამარჯვებაში მართლაც დიდია.

— მაინც რა გითხრათ მატჩის წინ სეგრტმა?

— ახლა ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. ორი საათის შემდეგ ვნახავ, ვინ იქნება მოლუშული ჩვენ თუ რუსები, ერთი რამ იცოდეთ, საქართველოსთვის თამაშობთ და ქვეყანა უნდა გაახაროთო.

— რა ხდებოდა ტრაპიზონში შეკრებაზე?

— მშვენიერი პირობები იყო და ყოველდღე ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა.

— რუსეთთან გამარჯვებით ყველანი გახარებულები ვართ და მართლაც საკვირველია, ყაზახეთში რა მოხდა 4:1 რომ წააგეთ?

— ყაზახეთში კარგად ვერ ვითამაშეთ, თუმცა ამხელა ანგარიშით წაგებას არ ვიმსახურებდით. ყველა გოლი ბავშვურ შეცდომებს მოჰყვა, ოღონდ იმის თქმაც არ მინდა, თითქოს ყაზახებმა ცუდად ითამაშეს და მხოლოდ საკუთარი შეცდომებით წავაგეთ.

— ევროპის შესარჩევ ციკლში ორი თამაში დაგვრჩა, პოლონეთთან და რუსეთთან. ჯგუფიდან გასვლის შანსი დაკარგული გვაქვს...

— ახლა ჩვენი მიზანი ჯგუფში მესამე ადგილის მოპოვებაა. პოლონეთს უნდა ვაჯობოთ.

— ახლა „ზესტაფონზეც" ვთქვათ. სასტარტო შემადგენლობაში ვერ ხვდები, ახალგაზრდულ ნაკრებში კი მუდამ ძირითადში ხარ. ეს რისი ბრალია?

— „ზესტაფონში" საკმაოდ დიდი კონკურენციაა. ამის გამო ხან მიწევს თამაში, ხანაც სკამზე ვზივარ, თუმცა ამას, რა თქმა უნდა, არ ვეგუები და ვეცდები, ძირითადში მოვიპოვო ადგილი.

— ადრე გერმანულ „აუეში" იყავი გასინჯვაზე. უცხოეთში წასვლას ხომ არ გეგმავ?

— „ზესტაფონთან" კონტრაქტი მაკავშირებს და სეზონის ბოლომდე აქ ვიქნები, შემდეგ კი ვნახოთ.

— საქართველოს ჩემპიონატში შენთვის სამაგალითო თავდამსხმელი რომელია?

— ბევრ რამეს ვსწავლობ ზურაბ იონანიძისგან. მას გოლის გატანის საოცარი ალღო აქვს, იონანიძესთან ერთად ვარჯიში დიდი სიამოვნებაა.

— თავად რა გაქვს დასახვეწი?

— ვთვლი, რომ ფეხბურთში ჯერ არაფრისთვის მიმიღწევია და შესაბამისად, სასწავლი და დასახვეწი ბევრი მაქვს. დღეს რომ ფეხბურთელი ვარ, ჩემი პირველი მწვრთნელის გია ჯანგავაძის დამსახურებაა. თუ გინდა, რომ მწვერვალზე ახვიდე, თავდაუზოგავად უნდა იშრომო, დანარჩენს კი ცხოვრება გვიჩვენებს.

***მირზა ბჟალავა:***

— შენი აზრით, რამ განაპირობა რუსეთის დამარცხება?

— ამ ნაკრებში ყველა ერთმანეთის მეგობარია და მართლაც ერთი გუნდი ვართ, სწორედ ეს იყო ჩვენი იარაღი. ცალკე უნდა ვთქვა პეტარ სეგრტზე. რაც მან შეძლო, ბარე ორი ვერ დაიკვეხნის. დამეთანხმებით, საქართველო — რუსეთის დაპირისპირება ყოველთვის განსაკუთრებულია და ბედნიერი ვარ, რომ სამშობლო გავახარეთ.

— ფეხის მძიმე ტრავმა ახლახან მოიშუშე და სეგრტმა მაინც გიხმო...

— მთლიანად მისი დამსახურებაა, ახლა რომ ვთამაშობ და გეტყვით რატომაც. კოჭი მოვიტეხე და ოპერაცია დამჭირდა. სეგრტი ყაზახეთთან მარცხის შემდეგ ავსტრიაში ჩამოვიდა და გამამხნევა. მაშინ მითხრა, რუსეთთან აუცილებლად მჭირდებიო. ჩემთვის ეს უდიდესი სტიმული იყო. დიდი ხანი არ არის, რაც ვარჯიში განვაახლე და „ლუშტენაუ" ჩემს გამოშვებას არ აპირებდა, თუმც სეგრტმა დაარწმუნა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა და გამომიშვეს.

— „ლიშტენაუში" რა ხდება?

— პირველ ლიგაში ლიდერები ვართ. ერთი გუნდი გადადის უმაღლესში და ვნახოთ. სანამ ტრავმას მივიღებდი, მთავარი მწვრთნელი ჰანსიკ კლერკი სულ მათამაშებდა. იქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

— შენს გარდა რამდენი ლეგიონერი ჰყავს გუნდს?

— ოთხი, თამაშის უფლება კი მხოლოდ სამს აქვს.

— ავსტრიის უმაღლესი ლიგა როგორი დონისაა?

— „დინამო" — „რაპიდის" შეხვედრაში ყველაფერი გამოჩნდა. ყველამ დავინახეთ, რამხელა განსხვავებაა საქართველოსა და ავსტრიის ჩემპიონატებს შორის. სიმართლე გითხრათ, ორი თამაშის ჯამში „დინამომ" რომ 8:0 წააგო, „ლუშტენაუში" მეგობრები დამცინოდნენ...

— ფეხბურთელობის გარდა რას აძლევს ადამიანს ფეხბურთი?

— ძალიან ბევრ რამეს. ფეხბურთის წყალობით, უამრავი მეგობარი მყავს. ადამიანებთან ურთიერთობის სწავლობ. გვხვდებიან მწვრთნელები, რომელთა ამაგსაც მთელი ცხოვრება ვერ დაივიწყებ. ჩემი პირველი მწვრთნელი გოგი იაშვილი იყო, რომელიც ყოველთვის მახსოვს და მისი მადლიერი ვარ.. ერთი სიტყვით, ფეხბურთი მშვენიერია.

**ნუკრი ლოლაძე**

# მათე-ბიჭს თბილისში ესპანიოლმა ჩამოაკითხა



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**საქართველოს** ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მცველ მათე ღვინიანიძეს კატალონიური „ესპანიოლი" აკვირდებაო — ეს ინფორმაცია გუშინ შევიტყვეთ.

როგორც გაირკვა, საქართველო — რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებების მატჩებზე „ესპანიოლის" სკაუტი ყოფილა ჩამოსული, ხოლო რა შთაბეჭდილება დარჩებოდა პეტარ სეგრტის გუნდის კაპიტანზე, მგონი, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს — მათემ თითქმის უშეცდომოდ ითამაშა, გუნდის ნამდვილი ლიდერი იყო.

ღვინიანიძემ ადრეც გვითხრა, ჩემი მსურველი კლუბი ბევრია და არ არის გამორიცხული, რომელიმე მათგანის წინადადებით სერიოზულად დავინტერესდეო. თუმც მათემ ისიც დაამატა, ჯერჯერობით, „მიუნხენ 1860-ში" ყველაფერი მომწონს, თანაც კონტრაქტი მაკავშირებსო.

ვნახოთ, წესით, „ესპანიოლის" ვარიანტს გაგრძელება უნდა მოჰყვეს...

**ილია ნანობაშვილი**

# თვალი თვალი



*ვუქომაგოთ ჩვენს გუნდს და ვილოცოთ ჩვენი გუნდისთვის — აი, ასეთი ვითარება იყო გუშინ „მიხეილ მესხის" ტრიბუნაზე. საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა რუსეთის 2:0 დამარცხებით არცთუ ბევრი, მაგრამ მხურვალედ მხარდამჭერი ქომაგობა ფრიად გაახარა... ეს საინტერესო ფოტო კი გურამ დოლენჯაშვილმა გადაიღო...*

მოქმედი ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ წელს ისე ყოჩაღად ვერ გამოიყურება, როგორც შარშან და ათი ტურის შემდეგ ცხრილის შუაგულში ტრიალებს. რუსთაველებმა ქულებიც მოულოდნელად ფანტეს, თუმც რიგ თამაშებში ჩვეულად გაისარჯნენ და ფავორიტებს გვარიანი „ომი“ გამოუცხადეს. რუსთაველებმა „ზესტაფონში“ ბოლო წამებზე წააგეს, „ამერს“ კი შინ 1:0 მოუგეს. „ოლიმპის“ ასეთ არასტაბილურ თამაშებზე და სამომავლო გეგმებზე გუნდის კაპიტან მიხეილ მახვილაძეს ვესაუბრეთ...




# ჩემპიონი თასზე დაფიქრდა

## მიხეილ მახვილაძე 10 ათასს და ვარიანტს ელოდება

— წლეულს „ოლიმპი“ შარშანდელივით ვეღარ გამოიყურება, რა არის ამის მიზეზი?

— სტარტი ცუდი გამოგვივიდა, საჭირო და მოულოდნელი ქულები დავკარგეთ, თუმცა თამაში ნელნელა დავალაგეთ. პირველი წრის დასრულებამდე ცოტა დრო კი დარჩა, მაგრამ ვეცდებით, სატურნირო მდგომარეობა გამოვასწოროთ, ამასთან ბრძოლას თასზეც ვაპირებთ და სუპერთასისთვისაც.

— ხელმძღვანელობამ რა კონკრეტული მიზანი დაგისახათ?

— ჩემპიონობა გაძნელდება, რადგან ქულები ბლომად დავკარგეთ. იგივე ითქმის მეორე ადგილზეც, რადგან „ზესტაფონი“ და „დინამო“ საკმაოდ დაშორდნენ კონკურენტებს. მესამე ადგილისთვის ბრძოლა კი რამდენიმე გუნდთან მოგვიწევს და ვეცდებით,ეს ადგილი არავის დავუთმოთ. ხელმძღვანელობის კონკრეტული მიზანი ევროთასზე გასვლაა, ამის ყველაზე კარგი შანსი კი თასის მოგებით გვაქვს.

— ჩემპიონატში იძულებითი პაუზა იყო. ამან გუნდზე როგორ იმოქმედა?

— თავიდან ხუთი დღე დავისვენეთ. შემდეგ შევიკრიბეთ და ვარჯიში ჩვეულად გავაგრძელეთ. ერთი ამხანაგური მატჩიც ვითამაშეთ „სიონთან“ (1:1). ვერ ვიტყვი, რომ შესვენება ჩვენთვის ცუდი იყო, რადგან სეზონი სხვებზე ადრე დავიწყეთ და ფსიქოლოგიურად თუ ფიზიკურად ცოტა გადაღლილები ვიყავით. ვფიქრობ, ეს პაუზა გუნდს სასიკეთოდ უნდა წაადგეს.

— 9 დეკემბერს სუპერთასზე „ამერთან“ გიწევთ თამაში, რომელსაც უკვე შევხვდით ჩემპიონატში და მოუგეთ. მომავალ მატჩში შანსებს როგორ შეაფასებ?

— ჩემპიონატში რომ მოვიგეთ, ეგ არაფერს ნიშნავს. მეტოქე სერიოზულია და ბრძოლა მოგვიწევს. შანსებს კი მაინც თანაბრად შევაფასებდი, თანაც მატჩი გორშია. ისე, ალბათ ჯობდა, თბილისში ჩატარებულიყო. მეტი მაყურებელი მოვიდოდა. ჩემი აზრით, სუპერთასი მაინც შოუა და მაყურებელს თბილისში უფრო მოიზიდავდა.

— ამ „შოუს“ საპრიზო ფონდი 10 000 ლარია...

— კარგია, რომ ორგანიზატორებმა საპრიზო ფონდი კვლავ დააწესეს, ფეხბურთელისთვის დამატებითი სტიმულია და მეტი მონდომებით ვითამაშებთ.

— გასული სეზონის შემდეგ უკრაინაში იყავი, თუმც „ოლიმპში“ დაბრუნდი. ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას ისევ ხომ არ გეგმავ, რომ კარიერა სადმე სხვაგან გააგრძელო?

— „ოლიმპთან“ სეზონის ბოლომდე კი მაქვს კონტრაქტი, მაგრამ თუ კარგი ვარიანტი გამოჩნდა, ხელს არავინ შემიშლის. მინდა, ძალები სხვაგანაც მოვსინჯო.

— კონკრეტული წინადადებები ხომ არ გაქვს?

— ჯერჯერობით არა. ახლა ჩემპიონატზე ვარ გადართული, წასვლაზე პირველი წრის დასრულების შემდეგ ვიფიქრებ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

# ზესტაფონმა სკოლა გაახარა

„ზესტაფონის“ მწვრთნელ-ფეხბურთელებმა და კლუბის წარმომადგენლებმა ტრადიციად ჩამოაყალიბეს სკოლებში სტუმრობა — პირველად დაახლოებით ერთი თვის წინ იყვნენ ერთ-ერთ სკოლაში, ამ დღეებში კი ზესტაფონის მე-7 საჯარო სკოლაც მოინახულეს, სადაც გუნდის გულშემატკივრებთან შეხვედრაც გაიმართა...

შეხვედრას ესწრებოდნენ გოგი ფიფია, შალვა ლონდაძე, ჟონატას ტორესი, გიორგი ჭელიძე, ჟილვან ვიეირა, ეტიენ ბიტოო, პოლ კესანი, კლუბის პრესსამსახურის წარმომადგენლები სერგო კუტივაძე, თემურ კვინიკაძე და გულშემატკივართა კლუბის თანათავმჯდომარე ლაშა კიკნაველიძე.

სკოლის მოსწავლეებთან ერთად, ფეხბურთელებს სკოლის პედაგოგიური კოლექტივიც შეხვდა.

რა თქმა უნდა, იყო თბილი ატმოსფერო, ბევრი შეკითხვა, სურვილები... სკოლისა და მოსწავლეთათვის საჩუქარ-სუვენირების გადაცემა, ბოლოს კი ნორჩმა გულშემატკივრებმა ფეხბურთელებს ავტოგრაფები ჩამოართვეს და სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს.

მართლაც, ლამაზი ტრადიციაა, რომელსაც „ზესტაფონი“ ალბათ მომავალშიც გააგრძელებს და კარგი იქნება, სხვა ქართული გუნდებიც თუ მხარს აუბამენ.

ილია ნანობაშვილი

ზესტაფონის პრესსამსახურის ფოტოები





# ამისულაშვილი სეზონის ნალჩიკელობაზე იქაჩება

ალეკო ამისულაშვილმა, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ სექს-სკანდალში იყო გახვეული, შესაძლოა, ნალჩიკის „სპარტაკის“ ფანებისგან ახლახან გასრულებულ სეზონში გუნდის საუკეთესო ფეხბურთელობას გამოჰკრას ხელი.

ინტერნეტ-გამოკითხვაში ამისულაშვილი მეორე ადგილზეა და მხოლოდ 2 ხმით ჩამორჩება დმიტრი ფაიზულინს, რომელმაც გუშინწინ საქართველო — რუსეთის 21-წლამდელთა მატჩში ითამაშა. ამასთან, გამოკითხვა ამპლუების მიხედვითაც ტარდება, სადაც ამისულაშვილს მცველებში მოცილე არ ჰყავს.

ილია ნანობაშვილი

# კახა ცხადაძეზე არც გვიფიქრია

## ოლიმპი პისკოვეცით კმაყოფილია

გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს საქართველოს ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპში“ კიდევ ერთხელ იგეგმება მთავარი მწვრთნელის შეცვლა.

კულუარული ცნობით, „ოლიმპის“ მწვრთნელად უკრაინელი ანატოლი პისკოვეცის ნაცვლად კახა ცხადაძე ინიშნება.

ინფორმაციის გადასამოწმებლად „ოლიმპის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელს ბადრი ქარქაშაძეს დავუკავშირდით...

„ასეთ ინფორმაციას არ ვფლობ და საერთოდ, შემიძლია გითხრათ, რომ გუნდში ამ თემაზე საუბარი არც ყოფილა. ამ ეტაპზე მწვრთნელის მუშაობით კმაყოფილნი ვართ“ — გვითხრა ქარქაშაძემ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

# ჯერ გიორგობა, მერე ჩემპიონატი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგას ეროვნული ჩემპიონატის მე-12 ტურის მატჩები 23-24 ნოემბერს ჰქონდა დანიშნული, თუმც ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს, რომ 23 ნოემბერს გიორგობის დღესასწაულია და ტურის ყველა მატჩი 24 ნოემბერს დანიშნეს.

მატჩები 14 საათზე დაიწყება.

აქვე შეგახსენებთ, რომ მე-12 ტურში ერთმანეთს შეხვდებიან: „სიონი“ — „ბორჯომი“, „მგლები“ — „ვიტ ჯორჯია“, „დილა“ — „სპარტაკი“, „ოლიმპი“ — „მერანი“, „ლოკომოტივი — „დინამო“, „ზესტაფონი“ — „ბათუმი“, „მესხეთი“ — „ამერი“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

## საქართველოს 19 ჩემპიონატი

პირველი ლიგა — 14 ტური

### აღმოსავლეთი

ნ. დინამო-მერანი 2 1:5 ამერი 2
გაგრა 4:3 ოლიმპი 2
მეშაძრე 1:0 ოლიმპიკი
ვიტ ჯორჯია 2 2:1 დინამო 2
კახეთი 2:4 ჩიხურა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 13 | 8 | 4 | 1 | 28:20 | 28 |
| მეშაქრე | 13 | 8 | 2 | 3 | 24:15 | 26 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 13 | 7 | 4 | 2 | 21:9 | 25 |
| დინამო 2 | 13 | 6 | 4 | 3 | 21:13 | 22 |
| ჩიხურა | 13 | 6 | 3 | 4 | 24:19 | 21 |
| ამერი 2 | 13 | 5 | 2 | 6 | 23:24 | 17 |
| ოლიმპი 2 | 13 | 4 | 3 | 6 | 15:14 | 15 |
| ოლიმპიკი | 13 | 3 | 3 | 7 | 16:22 | 12 |
| კახეთი | 13 | 3 | 3 | 7 | 15:21 | 12 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 13 | 0 | 2 | 11 | 10:35 | 2 |

### დასავლეთი

ტორპედო 3:1 მარტვილი
მეშახტე 5:0 სამტრედია
მაღაროელი 2:0 კოლხეთი
ზესტაფონი 2 2:1 უნივერსიტეტი
ხობი — ფაზისი არ შედგა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 13 | 11 | 2 | 0 | 30:8 | 35 |
| მეშახტე | 13 | 8 | 0 | 5 | 25:23 | 24 |
| მარტვილი | 13 | 7 | 3 | 3 | 16:10 | 24 |
| ტორპედო | 12 | 6 | 3 | 3 | 22:14 | 21 |
| ზესტაფონი 2 | 11 | 5 | 2 | 4 | 18:10 | 17 |
| უნივერსიტეტი | 13 | 4 | 2 | 7 | 10:13 | 14 |
| კოლხეთი | 12 | 3 | 4 | 5 | 14:17 | 13 |
| ხობი | 12 | 3 | 4 | 5 | 14:19 | 13 |
| ფაზისი | 12 | 2 | 2 | 8 | 16:28 | 8 |
| სამტრედია | 13 | 1 | 2 | 10 | 10:33 | 5 |

# ფაზისს მოხსნა ემუქრება

პირველი ლიგის დასავლეთ ზონის ერთი მატჩი ხობის „კოლხეთსა“ და ონის „ფაზისს“ შორის არ შედგა. რაჭველებს მიზეზად ავტობუსის გაფუჭება დაუსახელებიათ, თუმც როგორც პროფესიული ფეხბურთის ლიგაში გვითხრეს, ახსნა-განმარტებითი ბარათი ჯერაც არ წარუდგენიათ.

„უახლოეს პერიოდში განვიხილავთ „ფაზისის“ საკითხს და არ არის გამორიცხული, გუნდი გათამაშებიდან მოვხსნათ“ — გვითხრა პროფლიგის საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ კაკულიამ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

# თუ გატყდა, შიგნიდან გატყდება

## ბარსელონას ბარსელონელები უტევენ



ფრენკ რაიკარდი

„ბარსელონას" ჭირვეული კალენდარი აქვს. პრიმერას მეთორმეტე ტურში კატალონიური გუნდი მიქაელ ლაუდრუპის „ხეტაფეს" ხომ შეხვდა და დამარცხდა, შაბათს ძალებს ვიქტორ მუნიოსის „უელვასთან" მოსინჯავს, მერე კი რაიკარდის შეგირდებს ერნესტო ვალვერდეს „ესპანიოლთან", რონალდ კუმანის „ვალენსიასთან" და ბერნდ შუსტერის „რეალთან" უწევთ გაჯიბრება. ყველა ეს მწვრთნელი სხვადასხვა დროს „ბარსელონას" ფეხბურთელი გახლდათ. მარტო ერთი არაბარსელონელი წყვეტს ამ ჯაჭვს — „ესპანიოლსა" და „ვალენსიას" შორის „კამპ ნოუს" ბიჭები მიგელ ანხელ ლოტინას „დეპორტივოსთან" იომებენ.

„შინაურებთან" ბრძოლა „ბარსასთვის" „კოლიზეუმ ალფონსო პერესზე" „ხეტაფესთან" დამარცხებით დაიწყო, თუმც მეთორმეტე და მეცამეტე ტურებს შორის ევროშესარჩევებზე სანაკრებო თამაშების გამო ესპანეთში შესვენება გამოცხადდა, რომელიც კატალონიურ გრანდს, სავარაუდოდ, შეცდომათა გამოსასწორებლად უნდა გამოეყენებინა. ეს შეცდომები კი „ბარსას" განსაკუთრებით სტუმრად ჩატარებულ მატჩებში სტანჯავს.

„კამპ ნოუზე" ვიქტორ მუნიოსის სტუმრობისთვის ემზადებიან. ეს კაცი წინა საუკუნის ოთხმოციან წლებში „ბარსას" „ფილტვებად" ითვლებოდა, ახლა კი „უელვას" მწვრთნელია — გუნდისა, რომელსაც ლეგენდარული არენიდან 3 ქულის წაღება უნდა. წლეულს ლა ლიგაში ეს ჯერჯერობით ვერავინ მოახერხა — „ბარსელონა" „კამპ ნოუზე" პრიმერას მატჩებში არ დამარცხებულა.

ვიქტორი გამოცდილი მწვრთნელია. მუშაობდა „მალიორკაში" (1995-96), „ლოგრონიესში" (1997-98), „ლეიდაში" (1998-2000), „ვილიარეალში" (2000-02), „სარაგოსაში" (2003-06), ხოლო „უელვაში" მისვლამდე — ბერძნულ „პანათანაიკოსში" (2006-07).

მომდევნო მეტოქე ერნესტო ვალვერდეა. იგი „ბარსელონაში" ყოფნისას გულშემატკივართა კერპი და „კამპ ნოუს" სათაყვანო გმირი არასდროს ყოფილა, თუმცა არც გოლის გატანა უჭირდა.

ვალვერდემ მწვრთნელობა 2002-03-ის სეზონში, სეგუნდა B დივიზიონში, „ბილბაოს" სამოყვარულო გუნდში დაიწყო. მერე ბასკთა პირველ გუნდშიც გადავიდა, საიდანაც ორსეზონიანი მუშაობის შემდეგ „ესპანიოლს" მიაკითხა. ბარსელონულ კლუბში გატარებულ პირველ სეზონში ერნესტო ვალვერდემ „თუთიყუშები" პრიმერაში მეთერთმეტე ადგილი მოუპოვა და თავისი გუნდი კოპა დელ რეისა და უეფას თასის ფინალებში გაიყვანა.

ვალვერდე ლაღი და შემტევი ფეხბურთის მიმდევარია. კატალონიაში ამბობენ, რომ ფრანკ რაიკარდის „ბარსადან" წასვლის შემდეგ ამ გუნდს სათავეში სწორედ „ესპანიოლის" ამჟამინდელი დამრიგებელი ჩაუდგება.

შემდეგი ჯახი „ბარსელონას", როგორც მოგახსენეთ, მიგელ ანხელ ლოტინას „დეპორთან" აქვს, თუმცა „შინაურებთან" ომი პრიმერას მეთექვსმეტე ტურიდან გაგრძელდება.

„მესტალიაზე" ჩასულ კატალონიელებს ბრძოლა რონალდ კუმანთან მოუწევთ. „ვალენსიას" ადრე მწვრთნელად კიკე სანჩეს ფლორესი ჰყავდა, მაგრამ რახან ამ დამრიგებელმა წარმატებებს ვერ მიაღწია, „ღამურათა" უფროსობამ პსვ-დან ექსბარსელონელ კუმანს უხმო.

ჰოლანდიელმა სპეციალისტმა, ვინც „ბარსელონას" რიგებში ბურთაობისას 264 ოფიციალურ მატჩში 88 გოლი გაიტანა, მწვრთნელის რანგში უკვე რამდენიმე გუნდის გამოცვლა მოასწრო. კუმანი „ვიტესის" (2000-01), „აიაქსის" (2001-05), „ბენფიკასა" (2005-06) და პსვ-ს (2006-07) თავკაცი იყო.

რონალდ კუმანს კატალონიაში საპატიო მეტსახელი აქვს — „უემბლის გმირი". 1992 წლის ჩემპიონთა თასის ფინალში ჰოლანდიელმა „სამპდორიას" საუცხოო გოლი გაუტანა და „ბარსელონას" ამ დონეზე უპრესტიჟულესი ჯილდო პირველად მოაპოვებინა. რონალდს „ბარსას" მწვრთნელობას არაერთხელ უქადდნენ, თუმცა დღესდღეობით კატალონიელებს მასთან არა თანამშრომლობა, არამედ ჭიდილი უწევთ.

მერე კი დიდი „ბერნარდო" მოდის. გერმანელი ყოფილ ბარსელონელთაგან ყველაზე წინააღმდეგობრივი პიროვნებაა, ფეხბურთელობისას შუსტერს ხან აღმერთებდნენ და ხან ლაფში სვრიდნენ, ხან მქუხარე ოვაციებით ცამდე აჰყავდათ, ხანაც გამაყრუებელი სტვენით „აცილდოებდნენ"...

„რეალის" ახლანდელი თავკაცი უკვე 10 წელია, სხვადასხვა გუნდებში დამრიგებლობს. შუსტერი იყო „ფიორენტინაში" (1997-98), „კიოლნში" (1998-99), „ხერესში" (1999-2003), დონეცკის „შახტარში" (2003-04), „ლევანტეში" (2004-05) და „ხეტაფეში" (2005-07).

ბარსელონაში ამ შეხვედრებისთვის განსაკუთრებით ემზადებიან. „ბარსასთვის" ახლა გადამწყვეტი დრო დადგა. შეიძლება ითქვას, რომ საქმე ყოფნა-არყოფნამდეა მისული...

აქამდე „ბარსა" მეტ-ნაკლებად სუსტ გუნდებს ეთამაშებოდა, ახლა კი ფრანკ რაიკარდის მოწაფეები ძლიერ მეტოქეებს, „ესპანიოლს", „ვალენსიასა" და მადრიდის „რეალს" გაეჯიბრებიან. სწორედ აქ უნდა გაფანტოს კატალონიურმა გუნდმა ის ეჭვები, რომლებიც „ბარსას" არასტაბილურმა თამაშმა სეზონის დასაწყისშივე წარმოშვა.

### მე-13 ტური
### ბარსა — უელვა

მუნიოსი „უელვას" მეთაურობს, თუმც ვიქტორი „მეტრის" რანგში ადრეც ყოფილა „კამპ ნოუზე" — „ვილიარეალისა" და „სარაგოსას" მწვრთნელობისას. საერთოდ, მუნიოსს „ბარსას" წინააღმდეგ 9 დუელი ჩაუტარებია, ამათგან ორი მოიგო, ორი ფრედ დაამთავრა და ხუთშიც დამარცხდა.

### მე-14 ტური
### ესპანიოლი — ბარსა

გასულ სეზონში ერნესტო ვალვერდეს „ესპანიოლმა" „კამპ ნოუზე" „ბარსას" მოგება ხელიდან გამოგლიჯა და თანაქალაქელ გრანდს ჩემპიონობა დააკარგვინა. ერნესტოს „ბილბაოსა" და „ესპანიოლში" მწვრთნელობისას „ბარსელონასთან" 6 ჯახი დაუგროვდა. ამათგან ერთი გამარჯვებაა, სამი ფრე და ორიც წაგება. აღსანიშნავია, რომ დღეს „ესპანიოლი" შესანიშნავ ფორმაშია და მატჩიც „თუთიყუშთა" მშობლიურ „მონჟუიკზე" გაიმართება.

### მე-16 ტური
### ვალენსია — ბარსა

მიუხედავად იმისა, რომ რონალდ კუმანმა მწვრთნელობისას რამდენიმე გუნდი გამოიცვალა, თავის ძველ „ბარსას" აქამდე მტელქდ მხოლოდ ერთხელ შეხვედრია. 2005-06 წლების ჩემპიონთა ლიგის ორმატჩიან ჯახში კუმანის „ბენფიკამ" რაიკარდის გუნდთან ლისაბონში 0:0 ითამაშა, ხოლო კატალონიაში 0:2 წააგო.

### მე-17 ტური
### ბარსა — რეალი

შუსტერი „ბარსელონას" „ლევანტესა" და „ხეტაფეს" დამრიგებლის რანგში გაჯიბრებია. „ბერნარდომ" შარშან რაიკარდს კოპა დელ რეიზე 4:0 მოუგო, თუმცა ლა ლიგას შეხვედრებში „ბარსელონასთან" გამარჯვებით ვერ დაიკვეხნის. პრიმერადივიზიონში გერმანელმა ხუთჯერ იბრძოლა „ბარსელონას" წინააღმდეგ: ოთხჯერ წააგო და ერთხელ ფრეს მიაღწია.

**ლადო ხომერიკი**



# ჩემი ხელფასი შენსას სჯობს

„**მილანის**" ბრაზილიელი ლეგიონერის კაკასა და „ინტერის" შვედი ლიდერის ზლატან იბრაჰიმოვიჩის სახელფასო დუელს ბოლო არ უჩანს. ახლახან გავრცელდა ცნობა, კაკა და „მილანი" კონტრაქტის 2012 წლამდე გახანგრძლივებაზე უკვე შეთანხმდნენ.

ეს ოფიციალურად მას მერე გაცხადდება, რაც „ფრანს ფუტბოლი" „ოქროს ბურთის" წლევანდელ მფლობელს დაასახელებს და რომელიც, სასწაული უნდა მოხდეს, კაკა არ იყოს.

ახალი ხელშეკრულების მიხედვით კაკა სეზონში დაახლოებით 10 მილიონ ევროს მიიღებს. კაკას ახლანდელი ხელფასი 6 მილიონს შეადგენს.

არც ზლატანის „პასუხმა" დააყოვნა — „ინტერსა" და იბრაჰიმოვიჩს შორის უახლოეს მომავალში ახალი კონტრაქტი გაფორმდება. ამბობენ, „ნერაძური" „იბრაკადაბრას" სეზონში 12 მილიონ ევროს გადაუხდის და მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად აქცევსო. იმასაც დავძენთ, რომ შვედის დღევანდელი ხელფასი 4 მილიონია.

**კოკი კანდელაკი**

# შენ ხარ უზრდელი!

**ბერგამოს** „ატალანტას" ხელმძღვანელობამ ვეტერანი ფორვარდი რიკარდო ძამპანია გუნდიდან მოკვეთა. მიზეზი წინა სამშაბათს მომხდარი ინციდენტია — 32 წლის თავდამსხმელი „ატალანტას" მწვრთნელს ლუიჯი დელ ნერის უზრდელად შელაპარაკებია და მერე ბოდიშის მოხდაზეც უარი უთქვამს. არადა, ძამპანია მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო იყო ბერგამოელთა რიგებში.

„დისციპლინასთან დაკავშირებული მიზეზების გამო ძამპანია უახლოეს მომავალში გუნდში არ იქნება. მისი საქციელი მხოლოდ ჩემთვის კი არა, მთლიანად კლუბისთვის იყო შეურაცხმყოფელი. ამიერიდან იგი ცალკე ივარჯიშებს" — განაცხადა დელ ნერიმ.

ძამპანიას აგენტი ლუკა ურბანი: „შექმნილ ვითარებასა და დელ ნერის პოზიციას თუ გავითვალისწინებთ, რიკარდოს იანვარში გუნდის გამოცვლა მოუწევს. სამწუხაროა..."

სავარაუდოდ, ვეტერანი ფორვარდი უმუშევარი მაინც არ დარჩება — ძამპანიას გადაბირების მსურველთა შორის „ლივორნო", „პალერმო" და „მოდენა" არიან.

**კოკი კანდელაკი**

# ბარძაყი გერმანიაში

**ისევ** მაიკლ ოუენის ჯანმრთელობის შესახებ: „ნიუკასლ იუნაიტედმა" ვარსკვლავი ფორვარდი გერმანიაში, დოქტორ ჰანს ვილჰელმ ვოლფარტთან გაუშვა. თავდამსხმელის ექიმთან მისვლა იმიტომ გახდა საჭირო, რომ გასულ პარასკევს გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში, რომელშიც ინგლისმა ავსტრიას პიტერ კრაუჩის გოლით 1:0 მოუგო, მაიკლმა ბარძაყის კუნთი იტკინა.



„კაჭკაჭების" თავკაცმა სემ ალარდაისმა კლუბის ვებ-გვერდზე იმედი გამოთქვა, რომ გერმანელი სპეციალისტი ოუენის გამოჯანმრთელებას დააჩქარებს, თუმცა, იქვე შიშით დაამატა, რომ შესაძლოა, ფორვარდი ოთხი ან ექვსი კვირის განმავლობაში მაინც უსაქმოდ დარჩეს.

„თუ მას ამ ვადაზე ადრე დავიბრუნებთ, დიდი საქმე იქნება" — დასძინა ალარდაისმა.

**პაპუნა კედია**

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# ორმაგი სერია

## არგენტინამ შეწყვიტა და შეუწყვიტა


მესის ეს გოლი არგენტინას ვერაფერში წაადგა

**არგენტინამ** 2010 წლის მუნდიალის შესარჩევში პირველი მარცხი იწვნია. ხორხე ლუის პინტოს კოლუმბიამ მეოთხე ტურში შესანიშნავად ითამაშა და აქამდე ყოჩაღად მავალი „ალბისელესტე“ რუბენ დარიო ბუსტოსისა და დარიო მორენოს გოლებით დასცა ბეჭებზე. პატაგონიელთაგან ერთადერთი გოლი ლეო მესიმ გაიტანა, კარლოს ტევესი კი ბუსტოსთან უხეშობის გამო მოედნიდან მიაბრძანეს.

„აპაჩემ“ გაძევებამდე გვარიანად იაქტიურა. ტევესმა პირველივე წუთზე სცადა ჩახვეული დარტყმით კოლუმბიელთა დამწუხრება, თუმცა მისი გასროლა მეკარე აგუსტინ ხულიომ განალმა. „კაფეტერო“ გონს მალე მოვიდა, ტრესორ მორენომ და რენტერიამ კარგი კომბინაციებიააწყვეს, რუბენ დარიო ბუსტოსი კი არგენტინელთა კარის შელეწვას შორეული დარტყმებით ცდილობდა.

24-ე წუთზე, როცა უპირატესობას არგენტინელები ფლობდნენ, ლაინსმენმა არბიტრ ხორხე ლარიონდასთან მიირბინა და ბუსტოსზე ტევესის თავდასხმა მოახსენა. „აპაჩე“ გააგდეს და კაცნაკლულმა არგენტინამაც იერიშები ძველებური ძალით ვეღარ გაშალა.

პირველებმა მაინც სტუმრებმა იხეირეს. კოლუმბიელმა მცველებმა სულ რამდენიმე წამით დატოვეს ლეო მესი უმეთვალყურეოდ და „პულგას“ ეყო ეს დრო ადგილობრივთა გასამწარებლად, კოლუმბიელ გოლკიპერ ხულიოს იქამდე 870 წუთის განმავლობაში შეუნახა კარი მშრალად და მისი რეკორდი ლეომ დაასამარა.

მეორე ტაიმის დასაწყისში გრისალესის და ტორესის კომბინაციის შემდეგ „კაფეტეროთა“ მიერ დარტყმულმა ბურთმა რობერტო აბონდანსიერის კარის ძელი გაკენწლა. გადის სულ ერთი წუთი და არგენტინელთა კონტრიერიში კინაღამ გოლით მთავრდება — გადამწყვეტ ეპიზოდში მესიმ აცილა მიზანს.

რუბენ დარიო ბუსტოსი თავის ქვეყანაში საჯარიმო დარტყმების სპეციალისტად ითვლება და თავი არც „ელ კამპინის“ არენაზე შეურცხვენია. დარიომ 62-ე წუთზე ჯარიმით გაათანაბრა ანგარიში.

მატჩის ბოლოს რენტერიას პასით მორენომ გამარჯვების გოლი შეაგდო. „ალბისელესტემ“ სიტუაციის გამოსწორება რიკელმეთი სცადა, თუმც სხვა დროს ბრწყინვალე „რომის“ ბოგოტაში ბედი არ სწყალობდა, ხოლო მასპინძლებმა სასურველი შედეგი შეინარჩუნეს.

სან კრისტობალის „პუებლო ნუევოზე“ შეკრებილი ინჩასები შინ ალბათ ემოციებისგან გაჭალარავებულნი დაბრუნდნენ. აქ ვენესუელამ აიწყვიტა და ბოლივიას „ეპიკა რემონტადა“, ანუ ბედის ეპიკური შემობრუნება მოუწყო. თამაშში 8 გოლი გავიდა, ხუთჯერ მასპინძლებმა გაიხარეს, სამჯერ კი — ბოლივიელებმა. აღსანიშნავია, რომ მომხვდურნი მატჩს ორჯერ იგებდნენ, თუმცა დანიელ არისმენდის, ჯანკარლო მალდონადოს და ალეხანდრო გერას გმირობის წყალობით, ვენესუელამ 5:3 გაიმარჯვა. ამ მოგებით რიჩარდ პაესის ნაკრებმა ცხრილში 6 ქულა დააგროვა, ბოლივია კი ოდენ ერთი ქულით ბოლოსწინა ადგილზეა.

**ლადო ხომერიკი**

**სამხრეთ ამერიკა. IV ტური**

**კოლუმბია 2:1 არგენტინა**

0:1 მესი (36), 1:1 ბუსტოსი (62), 2:1 დ. მორენო (82)

**კოლუმბია:** აგუსტინი, ვ. მორენო, მოსკერა, ვილესი, ამაია, დ. ფერეირა (მ. ტორესი 46), მ. მორენო (დ. მორენო 72), ბუსტოსი, კ. სანჩესი, კასტრილიონი (გრისალესი 46), რენტერია

მწვრთნელი: ხორხე პინტო

**არგენტინა:** აბონდანსიერი, იბარა, დემიკელისი, გ. მილიტო, ძანეტი, გაგო, კამბიასო (მაქსი როდრიგესი 74), მასკერანო, რიკელმე, მესი, ტევესი

მწვრთნელი: ალფიო ბასილე

გაფრთხილება: კასტრილიონი, ტევესი, მოსკერა, ამაია, ბუსტოსი, რენტერია, დემიკელისი, დ. მორენო, მილიტო

მსაჯი: ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)

50 000 მაყურებელი

**ვენესუელა 5:3 ბოლივია**

0:1 მარტინსი (19), 1:1 არისმენდი (20), 1:2 არსე (27), 2:2 არისმენდი (40), 2:3 მარტინსი (77), 3:3 გუერა (81), 4:3, 5:3 მალდონადო (89, 90)

**ვენესუელა:** ლ. მორალესი, რეი, ჩიკერო, ვერა (მეა ვიტალი 59), მალდონადო, სეიხასი (ე. პერესი 64), პაესი (გუერა 74), არისმენდი, რ. როსალესი, ხ. როხასი, არანგო

მწვრთნელი: რიჩარდ პაესი

**ბოლივია:** არიასი, ნ. მენდესი, ლ. რიბეირო, ლუის გუტიერესი, რ. გარსია, მ. მარტინსი (ხ. მორენო 79), მოხიკა (ლიმბერგ გუტიერესი 70), ვაკა (ს. ლიმა 46), ხ. გომესი, რალდესი, არსე

მწვრთნელი: ერვინ სანჩესი

გაფრთხილება: ვაკა

მსაჯი: სალვიო ფაგუნდეს ფილიო (ბრაზილია)

30 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| კოლუმბია | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 8 |
| პარაგვაი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| ვენესუელა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ბრაზილია | 3 | 1 | 2 | 0 | 6:1 | 5 |
| ურუგვაი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:3 | 4 |
| ჩილე | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| პერუ | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| ბოლივია | 4 | 0 | 1 | 3 | 3:13 | 1 |
| ეკვადორი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:11 | 0 |

**ოკეანეთი**

**საკვალიფიკაციო წრე**

**ახალი ზელანდია 4:1 ვანუატუ**

**ახალი კალედონია 4:0 ფიჯი**



# ცოლი, ბიჭო, ჩქარა!

**სადაცაა** მოვა იანვარი და ევროპაში სატრანსფერო ციებ-ცხელება განახლდება. ცხადია, ორომტრიალში მადრიდის „რეალიც“ ჩაერევა, ოღონდ, წინა იანვრებისგან განსხვავებით, მადრიდული კლუბის შეფებს ახალი მოთამაშეების შერჩევისას მათი ოჯახური მდგომარეობის შესწავლაც მოუწევთ. აი, რა თქვა „სამეფო კლუბის“ გერმანელმა მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა გასულ კვირას ჩატარებულ სემინარზე:

„ამა თუ იმ ფეხბურთელთან გარიგებისას უპირველესად იმას ვეკითხებით, ჰყავს თუ არა ცოლი. რატომ ვაკეთებთ ამას? იმიტომ, რომ ცოლიანი მოთამაშეები უფრო სტაბილურები არიან“.

და რა თქმა უნდა, შუსტერის ამ ნათქვამმა ჟურნალისტები ხუმრობის ხასიათზე დააყენა. წარმოიდგინეთო, წერენ ისინი, იმ ფეხბურთელებს, რომლებიც „რეალში“ მოხვედრაზე ოცნებობენ, მადრიდში თავიანთი თამაშის ვიდეომასალის გარდა ქორწილის კასეტების გაგზავნაც მოუწევთო.

ისე კი, ხუმრობა ხუმრობად და იქნებ შუსტერი მართალიცაა? იქნებ, გუნდისთვის ცოლიანი მოთამაშეები უცოლოებისა და სასიყვარულო თავგადასავლების მაძიებლებზე სასარგებლოები არიან?

თავად შუსტერი 20 წლისა დაქორწინდა, მაგრამ მიუხედავად ამის, „ბერნარდოს“ თავის ყოველ კლუბთან კონფლიქტი მაინც ექნებოდა.

ფრაუ შუსტერი, სახელად გაბი, გარკვეული გაგებით ლეგენდარული ქალბატონია. არც მეტი, არც ნაკლები, სწორედ ის აკვარახჭინებდა 1980 წელს მისი მეუღლის „კიოლნიდან“ „ბარსელონაში“ გადასვლის საქმეს და თუ ჭორებს დავუჯერებთ, ბერნდს, დამოუკიდებლად, ცხოვრებაში რესტორნის ჩეკის მეტი ხელი არაფერზე მოუწერია.

მადრიდელთა დღევანდელი მწვრთნელი „ბარსელონას“ შემდეგ სწორედ „რეალში“, მერე კი „ატლეტიკოში“ გამოდიოდა, რითაც ესპანური კარიერა დაასრულა და ისევ გერმანიას, კერძოდ „ლევერკუზენს“ მიაშურა.

ლევერკუზენელთა გენერალური მენეჯერი რაინერ კალმუნდი: „ფრაუ შუსტერზე ძნელად მოსარიგებელი ადამიანი ცხოვრებაში არ შემხვედრია“.

**ბაკუნა ძედია**

# ოტმარ ჰიცფელდი ჭორებს აცხელებს?

**მიუნხენის** „ბაიერნს“ საშობაო არდადეგებამდე განუზრახავს მოცდა. როგორც კი დეკემბრის მიწურულს ბუნდესლიგური ციებ-ცხელება შეწყდება, მიუნხენელები მშვიდად დასხდებიან და საკუთარ მწვრთნელს, ოტმარ ჰიცფელდს მომავალზე დაელაპარაკებიან. სწორედ ამ მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდება, თუ რა გზას დაადგება შემდგომში „ბაიერნი“ — ახალი მწვრთნელის ძიებას შეუდგება თუ კვლავ ჰიცფელდთან განაგრძობს ურთიერთობას.



საქმე ის გახლავთ, რომ ჰიცფელდის ამჟამინდელ კონტრაქტს ვადა მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება. ამასთან, გერმანულ პრესაში გამოჩნდა რამდენიმე პუბლიკაცია, სადაც „ბაიერნში“ ესპანელი რაფა ბენიტესის შესაძლო გადაყვანაზე ეწერა პირდაპირ თუ შეფარვით. ბენიტესი, მოგეხსენებათ, „ლივერპულის“ თავკაცია. თუმცა, მიუნხენელთა მენეჯერმა ული ჰიონესმა ეს ჭორები უარყო:

„ჩვენ არც „ლივერპულთან“ გვილაპარაკია და არც ბენიტესთან — განაცხადა ჰიონესმა „ბაიერნის“ ვებ-გვერდზე — ოტმარ ჰიცფელდი ჩემი ახლო მეგობარია, რომელსაც სიტყვა მივეცი, რომ თავდაპირველად მის გეგმებს გავეცნობით და გადაწყვეტილებას მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ. თუ მასთან მოვრიგდებით, სხვასთან ლაპარაკი აღარ დაგვჭირდება, ხოლო თუ შედეგს ვერ მივაღწევთ, მაშინ ახალ კანდიდატზე მოგვიწევს ფიქრი. ერთი სიტყვით, სანამ იანვარში ოტმარისგან არ შევიტყობთ, თუ რას აპირებს, ვერაფერს გეტყვით და მანამდე რასაც იტყვიან, ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ჭორი იქნება“.

ჰიონესმა ისიც აღნიშნა, რომ იანვარში „ბაიერნს“ ფრანგი მცველი ვალერიან ისმაეილი დატოვებს, ჰიცფელდს თავი ვერ მოაწონა: „მასთან ყველაფერი მოვაგვარეთ. გავითვალისწინეთ მისი სურვილიც. თუ ისმაეილი მისაღებ კლუბს იპოვნის, შეუფერხებლად გავუშვებთ“.

**ბაკუნა ძედია**



ოლივერ ბირჰოფი



რუდი ფიოლერი

# ხომ არ შეივლი ექიმთან?!

„ლევერკუზენის“ სპორტული დირექტორი რუდი ფიოლერი ისევ გააბრაზეს. ამჯერად გამბრაზებელი მისი ყოფილი თანაგუნდელი და ახლა ეროვნული ნაკრების მენეჯერი ოლივერ ბირჰოფია. ფიოლერმა განაცხადა: „უახლოეს დღეებში ოლი ექიმს უნდა გაესინჯოს.“

ფიოლერმა ბირჰოფის კვალიფიკაციაშიც ეჭვი შეიტანა და ახალი ფილოსოფიური მიმდინარეობის ალმომჩენად მოიხსენია. რუდის თქმით, ეს ფილოსოფია ისეთივე არარეალურია, როგორც მალტელის ფეხით ბრაზილიური ფეხბურთის თამაში.

და მაინც, რამ გააღიზიანა ფიოლერი? ალბათ იმან, რომ ოლი ბირჰოფმა ბუნდესნაკრების თამაში ცაში აიყვანა, ხოლო ბუნდესლიგა მკაცრად გააკრიტიკა.

პასუხი არც ბირჰოფმა დააგვიანა: „სამწუხაროა, როცა ადამიანი წელსქვემოთ გირტყამს, თანაც უარგუმენტოდ. მალტელის ფეხი კი რა შუაშია, საერთოდ ვერ გამიგია“.

ბირჰოფი და ფიოლერი ახლო მეგობრები არასოდეს ყოფილან. 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ფიოლერმა ბირჰოფს კაპიტნობა ჩამოართვა და ოლივერ კანს გადააბარა.

პასუხის პასუხად კი რუდი ფიოლერმა „ბილდს“ უთხრა: „ასეთი უაზრობა და სისულელე არასოდეს მომისმენია. უკვე რამდენიმე კვირაა, ბირჰოფი ეროვნული ნაკრების წარმატებების საფუძველზე კლუბებისთვის იმის ახსნას ცდილობს, თუ როგორ უნდა ფეხბურთის თამაში. მინდა, ვურჩიო, ნუ იქნება ასეთი თავდაჯერებული, არავინ იცის, მომავალში რა მოხდება“.

**ნინო სილაგაძე**

# კი, ოღონდ ზაფხულში



„რეალის“ ფეხბურთელი ჟულიო ბაპტისტა „ტოტენჰემის“ სამიზნეში მოხვდა. იქ, მოგეხსენებათ, ხუანდე რამოსი მწვრთნელობს, რომელსაც „მხეცის“ ალბიოზე ჩაყვანა განუზრახავს.

„მამლები“ იანვრის სატრანსფერო ბაზარზე ბაპტისტაში 8 მილიონი ევროს გადახდას აპირებენ, თუმც ტრანსფერებთან დაკავშირებით სიტუაცია იოლადაც არ გადაწყდება.

ფეხბურთელს სეზონის შუაგულში „რეალის“ მიტოვება არ სურს და „სამეფო გუნდის“ ხელმძღვანელობაც შემადგენლობიდან ხალხის გაშვებას ზაფხულამდე არ აპირებს.

მართალია, ბაპტისტა „რეალის“ მწვრთნელის ბერნდ შუსტერის სამომავლო გეგმებში არ შედის, თუმცა მადრიდელები სამ დიდ ტურნირში იბრძვიან და „ბერნარდოს“ მხრიდან, ალბათ, შეცდომა იქნება, თუნდაც ათვალწუნებული ჯარისკაცი საომრად სხვაგან რომ გაგზავნოს. „მარკას“ ვარაუდით, თუ „ტოტენჰემმა“ „მხეცის“ ყიდვა იანვარში ვერ მოახერხა, ამას სეზონის ბოლოს, ივნისში გააკეთებს.

**ლადო ხომერიკი**

# მსოფლიოს ჩემპიონებს ურნაში ყრიან



ადრიანო

**მალე** იტალიაში 4 წლის წინ რადიო „კატესპორტის“ მიერ დაარსებულ „ჯილდოს“ — „ოქროს ნაგვის ყუთს“ — სერია A-ს ერთ-ერთ ცნობილ ფეხბურთელს გადასცემენ.

39-მა ექსპერტმა, რომელთა შორისაც იტალიელების გარდა ფეხბურთის ფრანგი, იაპონელი, გერმანელი, ესპანელი, კონგოელი (!) და ბრაზილიელი სპეციალისტები შედიან, „ლაურეატების“ 50-კაციანი სია უკვე შეარჩია.

შეგახსენებთ, რომ „ოქროს ნაგვის ყუთს“ იმ მოთამაშეს გადასცემენ, ვისაც სპეციალისტები და ქომაგები სერია A-ს წლის მთავარ იმედგაცრუებად დაასახელებენ.

შარშან ეს ჯილდო „ინტერის“ ბრაზილიელმა ფორვარდმა ადრიანომ მიიღო, ვინც ფავორიტად ამჯერადაც მიიჩნევა.

„ოქროს ნაგვის ყუთი“ 2004 წელს ნიკოლა ლეგროტალიემ, ხოლო 2005-ში კრისტიან ვიერიმ მიიღეს. სხვათა შორის, ახლა ერთიც და მეორეც მშვენიერ ფორმაშია.

ამ ჯილდოს მოპოვების ყველაზე მეტი, ათი კანდიდატი „მილანს“ ჰყავს. მათ შორის, ტრავმამოშუშებული რონალდო და შეცდომებს დაჩვეული ნელსონ დიდა. რვა სავარაუდო ლაურეატი ჰყავს „ინტერს“, ამ ზაფხულს ნაყიდი დავიდ სუაზოსა და კრისტიან კივუს ჩათვლით.

„იუვენტუსი“ თავს ოთხი წარმომადგენლით „იწონებს“ — ტიაგუ მენდეშისა და ჟან-ალენ ბუმსონგის თამადობით.

ცოტა უცნაურია, მაგრამ კანდიდატთა სიაში 7 მსოფლიო ჩემპიონი მოხვდა — ალესანდრო დელ პიერო, ალბერტო ჯილარდინო, სიმონე ბარონე, მარკო ამელია, ალესანდრო ნესტა, მარკო მატერაცი და ფაბიო გროსო.

**კოკი კანდელაკი**

# 1 000 000 ხელმოწერა

## მასპინძლებს მასპინძლობა არ უნდათ

**ავსტრიელმა** გულშემატკივარმა მიხაელ კრესმა აქცია წამოიწყო. იგი საკუთარი ქვეყნის ნაკრების ევრო 2008-ზე მონაწილეობას ეწინააღმდეგება. მიზეზი: ავსტრიელთა ცუდი შედეგები ამხანაგურ მატჩებში, არადა, სწორედ ისინი არიან ევროპის ჩემპიონატის თანამასპინძლები შვეიცარიასთან ერთად.

„ყველა, ვინც ნახა ჩვენი ნაკრების ბოლო მატჩები, ხვდება, თუ რა ცუდ დღეში ვართ. თუ ახლავე არ მივიღებთ ზომებს, მერე გვიანი იქნება. რაღაცის შეცვლის დრო მოვიდა და ამ მომენტის ხელიდან გაშვებას არ ვაპირებ. ჩემი მოთმინების ფიალა იაპონიასთან უგოლო ფრის მერე აივსო. კარში ვერ ვურტყამდით, კუთხურებს ვერ ვაწვდიდით — საკუთარ მოედანზე თავდასხმაში ვერაფერი შევქმენით! ამ მატჩის შემდეგ საკუთარ თავს ვუთხარი — თუ ყველა ეგუება ვითარებას, ინიციატივას გამოვიჩენ მეთქი“ — თქვა კრესმა.

ნაკრების ცუდი თამაშით გულმოკლულმა ქომაგმა უკვე შეაგროვა 10 ათასამდე ხელმოწერა და ამ რიცხვის მილიონამდე გაზრდას აპირებს. მისი აზრით, ეს ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციას აიძულებს, სიტუაციის გამოსწორებაზე იფიქროს და საამისოდ ქმედითი ნაბიჯები გადადგას.

ყველაზე გამოცდილმა ავსტრიელმა ფეხბურთელმა ანდრეას ჰერცოგმა კი თქვა: „მთავარია, რომ მწვრთნელმა იცის, რომელ ფეხბურთელებს უნდა ენდოს. სხვებს კი შიდა სამზარეულოში ცხვირი არ უნდა შეაყოფინოს. გუნდს ერთი კაცი მართავს და გადაწყვეტილებებს ის იღებს, ყველგან ასეა. იოზეფ ჰიკერსბერგერი საკმაოდ გამოცდილი და კვალიფიციური მწვრთნელია.“

თავად იოზეფ ჰიკერსბერგერი: „ვეცდებით, ევრო 2008-ზე მაქსიმალურად წარმატებულად გამოვიდეთ. თუმცა, სამწუხაროდ, ისეთი ფეხბურთელები არ გვყავს, რომლებიც სისტემატიურად თამაშობენ ჩემპიონთა ლიგაში და მნიშვნელოვან მატჩებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვთ.“

**გიორგი კაკაბაძე**

# ბევრია 135?

## ტურამს არსად ეჩქარება

**საყოველთაოდ** ცნობილია: ნაკრებში 100 შეხვედრაზე მეტის ჩაატარება მთელს მსოფლიოში დიდ საქმედ ითვლება. გუშინდელ „სარბიელში“ არგენტინის ნაკრების კაპიტანზე, ხავიერ ძანეტიზე ვრცელი წერილიც დავწერეთ — გასულ უქმეებზე ძანეტიმ 116-ედ მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა, რაც არგენტინის რეკორდი გახლავთ.

...ფრანგმა მცველმა ლილიან ტურამმა „ლურჯების“ შემადგენლობაში 135 შეხვედრა ჩაატარა და იცით რა თქვა? — სულაც არ გამორიცხავ, ნაკრებში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგაც დავრჩეო.

„კვლავაც შევძლებ ევროპის პირველობის შემდეგ საფრანგეთის სახელით გამოსვლას? არ ვიცი, ამწუთას ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ. ფაქტი ის არის, რომ ჯერჯერობით თავს კარგად ვგრძნობ, ფეხბურთის თამაში ძველებურად მსიამოვნებს და კონკურენტუნარიანიც გახლავართ“ — ბრძანა ბარსელონელმა, რომელიც იანვარში 36 წლისა მოიყრება.

ვინც კატალონიური კლუბის თამაშებს აკვირდება, ეცოდინება, რომ 1998 წლის მსოფლიოსა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონი ესპანეთის ჩემპიონატის შეხვედრებს მეტწილად სათადარიგოთა სკამიდან უყურებს, თუმცა, როგორც თავად ამბობს, ამის გამო ახალი გუნდის ძებნას არ აპირებს:

„დიახ, ბოლოხანს ბევრს ნამდვილად აღარ ვთამაშობ, მაგრამ „ბარსელონადან“ წასვლას არ ვფიქრობ, ასე რომ, იანვრის სატრანსფერო სეზონში ჩემგან სიახლეს ნურავინ ელის.“

**პაპუნა კედია**



# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 1 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |
| 16:45 | 2 | ნიუკასლი-ლივერპული | 3.20 | 3.30 | 2.05 | 1.62 | 1.24 | 1.26 |
| 19:00 | 4 | არსენალი-უიგანი | 1.15 | 6.00 | 16.00 | 1.00 | 1.07 | 4.36 |
| 19:00 | 6 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 3.00 | 3.20 | 2.30 | 1.54 | 1.30 | 1.33 |
| 19:00 | 7 | ბოლტონი-მანჩესტერი | 7.00 | 3.70 | 1.45 | 2.42 | 1.20 | 1.04 |
| 21:15 | 9 | დერბი-ჩელსი | 10.00 | 5.00 | 1.25 | 3.33 | 1.11 | 1.00 |
| 19:00 | 11 | ევერტონი-სანდერლენდი | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| 19:00 | 12 | სიტი-რედინგი | 1.50 | 3.70 | 6.50 | 1.06 | 1.21 | 2.35 |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 3 | ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 2.60 | 3.10 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| 20:00 | 14 | ფულემი-ბლექბერნი | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 15 | შეფილდი-პლიმუთი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 19:00 | 16 | საუთჰემპტონი-ბლეკპული | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 19:00 | 18 | ბარნსლი-უოტფორდი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 19:00 | 19 | ბრისტოლი-ლესტერი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 19:00 | 20 | ბარნლი-სტოკი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 16:00 | 21 | კარდიფი-იფსვიჩი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 19:00 | 22 | კოლჩესტერი-კრისტალ პალასი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 23 | ნორვიჩი-ქოვენთრი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 19:00 | 24 | ქპრ-უესხდი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 16:00 | 25 | სკანთორპი-ჰალი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 21:20 | 26 | პრესტონი-ჩარლტონი | 2.85 | 3.20 | 2.30 | 1.50 | 1.27 | 1.33 |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 17 | ვესტ ბრომვიჩი-ვულვერჰემპტონი | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 27 | პორტ ვეილი-დონკასტერი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 19:00 | 28 | სუინდონი-როვერსი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 19:00 | 29 | ბორნმუთი-ოლდემი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 30 | ტრანმერი-სუონსი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 19:00 | 31 | ბრაიტონი-კარლაილი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 33 | ჯილინგემი-ჰარტლპული | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 34 | ჰადერსფილდი-ლეიტონი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 35 | ლუტონი-საუთენდი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 36 | მილუოლი-იოვილი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 19:00 | 37 | ნორთჰემპტონი-უოლსოლი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 38 | ნოტინგემი-ქრიუ | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 32 | ჩელტენემი-ლიდსი | 5.20 | 3.50 | 1.55 | 2.09 | 1.19 | 1.07 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 39 | როჩდეილი-მენსფილდი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 19:00 | 40 | როტერჰემი-შრიუსბერი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 19:00 | 41 | ბარნეტი-გრიმსბი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 19:00 | 43 | ბრედფორდი-სტოკპორტი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 44 | დარლინგტონი-უიკომბი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 19:00 | 45 | ჰერეფორდი-აკრინგტონი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 19:00 | 46 | ლინკოლნი-ნოტსი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 19:00 | 47 | მაკლსფილდი-დაგ ენდ რედი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 19:00 | 48 | დონსი-ჩესტერფილდი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 19:00 | 49 | მორკომბი-ბერი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 50 | პიტერბრო-ბრენტფორდი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 42 | რექსემი-ჩესტერი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 75 | სელტიკი-აბერდინი | 1.28 | 4.40 | 9.00 | 1.00 | 1.12 | 2.95 |
| 19:00 | 76 | სელტიკი-აბერდინი 0:1 | 1.00 | | | | | |
| 16:30 | 77 | ფოლკირკი-რეინჯერსი | 7.30 | 4.00 | 1.37 | 2.58 | 1.15 | 1.02 |
| 19:00 | 80 | ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 19:00 | 81 | ინვერნესი-სტ.მირენი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 19:00 | 82 | კილმარნოკი-მოზერუელი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 79 | გრეტნა-ჰართსი | 6.10 | 3.50 | 1.50 | 2.22 | 1.20 | 1.04 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 94 | კარლსრუე-ჰერტა | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:30 | 83 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.22 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.10 | 3.62 |
| 18:30 | 85 | ლევერკუზენი-დუისბურგი | 1.30 | 4.40 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.95 |
| 18:30 | 89 | ბოხუმი-არმინია | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| 18:30 | 90 | ჰანოვერი-შალკე | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 18:30 | 91 | კოტბუსი -ვერდერი | 5.20 | 3.50 | 1.60 | 2.09 | 1.22 | 1.09 |
| 18:30 | 93 | აინტრახტი-შტუტგარტი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 86 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 20:00 | 87 | ჰამბურგი-ჰანზა | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 95 | ოსნაბრიუკი-კარლ ცაისი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 21:00 | 96 | მიონხენგლადბახი-ოფენბახი | 1.30 | 4.20 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.81 |
| 21:00 | 101 | პადერბორნი-ფიურტი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 21:00 | 102 | ვეენი-კობლენცი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 97 | ფრაიბურგი-მიუნხენი 1860 | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 17:00 | 99 | აუგსბურგი-ალემანია | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 17:00 | 100 | აუე-ზტ.პაული | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| 17:00 | 103 | ჰოფენჰაიმი-კიოლნი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:15 | 98 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 122 | შტურმი-ალტახი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 21:00 | 123 | მატერსბურგი-რიდი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 21:00 | 125 | ზალცბურგი-აუსტრია კერნტენი | 1.22 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.08 | 3.33 |
| 21:00 | 126 | ტიროლი-ლინცერი | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 124 | აუსტრია-რაპიდი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 127 | ლეობენი-ბად აუსეე | 1.50 | 3.30 | 5.70 | 1.03 | 1.18 | 2.08 |
| 22:00 | 128 | შვანენშტადტი-შვადორფი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 22:00 | 129 | გრატკორნი-კაფენბერგი | 2.25 | 2.90 | 2.90 | 1.26 | 1.26 | 1.45 |
| 22:00 | 131 | ზალცბურგი მ-აუსტრია (მ) | 2.15 | 3.00 | 3.00 | 1.25 | 1.25 | 1.50 |
| 22:00 | 132 | კერნტენი-პარნდორფი | 2.55 | 3.10 | 2.10 | 1.39 | 1.15 | 1.25 |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:30 | 130 | აუსტრია ლუსტენაუ-ლუსტენაუ | 1.85 | 3.00 | 3.80 | 1.14 | 1.24 | 1.67 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 140 | ჯენოა-რომა | 4.00 | 3.10 | 1.90 | 1.74 | 1.28 | 1.17 |
| 23:30 | 141 | ინტერი-ატალანტა | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 133 | ნაპოლი-კატანია | 1.65 | 3.10 | 6.00 | 1.07 | 1.29 | 2.04 |
| 18:00 | 134 | რეჯინა-ფიორენტინა | 3.80 | 3.10 | 1.95 | 1.70 | 1.28 | 1.19 |
| 18:00 | 136 | უდინეზე-სიენა | 1.55 | 3.40 | 6.50 | 1.06 | 1.25 | 2.23 |
| 18:00 | 137 | კალიარი-მილანი | 5.50 | 3.20 | 1.65 | 2.02 | 1.26 | 1.08 |
| 18:00 | 139 | ემპოლი-ტორინო | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| 23:30 | 143 | იუვენტუსი-პალერმო | 1.55 | 3.30 | 6.50 | 1.05 | 1.25 | 2.18 |
| 18:00 | 145 | ლაციო-პარმა | 1.70 | 3.20 | 5.20 | 1.11 | 1.28 | 1.98 |
| 18:00 | 146 | ლივორნო-სამპდორია | 2.85 | 2.80 | 2.60 | 1.41 | 1.35 | 1.34 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **24 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 846 | ასკოლი-მანტოვა | 2.15 | 2.80 | 3.45 | 1.21 | 1.32 | 1.54 |
| 19:00 | 847 | კიევო-პიზა | 1.95 | 2.90 | 3.90 | 1.16 | 1.29 | 1.66 |
| 19:00 | 848 | ბოლონია-ალბინოლეფე | 1.95 | 2.80 | 4.00 | 1.14 | 1.31 | 1.64 |
| 19:00 | 849 | მოდენა-ბარი | 1.85 | 2.80 | 4.55 | 1.11 | 1.31 | 1.73 |
| 19:00 | 850 | პიაჩენცა-მესინა | 2.00 | 2.80 | 3.90 | 1.16 | 1.32 | 1.62 |
| 19:00 | 851 | ფროზინონე-გროსეტო | 1.85 | 2.80 | 4.55 | 1.11 | 1.31 | 1.73 |
| 19:00 | 852 | რიმინი-ვიჩენცა | 1.50 | 3.30 | 6.40 | 1.03 | 1.21 | 2.17 |
| 19:00 | 853 | ტრევიზო-ბრეშა | 3.50 | 2.80 | 2.10 | 1.55 | 1.31 | 1.20 |
| 19:00 | 854 | ტრიესტინა-ჩეზენა | 1.75 | 2.90 | 5.00 | 1.09 | 1.29 | 1.83 |
| 19:00 | 855 | აველინო-სპეცია | 2.15 | 2.80 | 3.45 | 1.21 | 1.32 | 1.54 |
| 19:00 | 856 | ლეჩე-რავენა | 1.40 | 3.40 | 8.50 | 1.00 | 1.20 | 2.42 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 170 | ბარსელონა-უელვა | 1.20 | 6.00 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.88 |
| 23:45 | 175 | მურსია-რეალი | 6.00 | 3.50 | 1.55 | 2.21 | 1.23 | 1.07 |
| 23:00 | 177 | სევილია-მალიორკა | 1.55 | 3.40 | 6.50 | 1.06 | 1.25 | 2.23 |
| | | 25 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 165 | ვილიარეალი-ალმერია | 1.35 | 4.50 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.88 |
| 20:00 | 167 | ატლეტიკო-ვალიადოლიდი | 1.50 | 3.60 | 7.00 | 1.05 | 1.23 | 2.37 |
| 20:00 | 168 | ლევანტე-ბეტისი | 2.50 | 3.10 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| 23:45 | 169 | სარაგოსა-ხეტაფე | 1.75 | 3.20 | 3.90 | 1.13 | 1.20 | 1.75 |
| 20:00 | 172 | ოსასუნა-ესპანიოლი | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| 20:00 | 173 | ბილბაო-დეპორტივო | 2.05 | 3.20 | 3.25 | 1.24 | 1.25 | 1.61 |
| 22:00 | 174 | რასინგი-ვალენსია | 2.90 | 3.10 | 2.35 | 1.49 | 1.29 | 1.33 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 21:30 | 182 | ელჩე-ალავესი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| | | 25 ნოემბერი | | | | | | |
| 15:00 | 178 | სელტა-ტარაგონა | 2.00 | 3.00 | 3.55 | 1.20 | 1.27 | 1.62 |
| 20:00 | 179 | ეიბარი-ჰერკულესი | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 20:00 | 180 | ეხიდო-კასტელონი | 2.25 | 3.00 | 3.00 | 1.28 | 1.28 | 1.50 |
| 21:30 | 181 | ლას პალმასი-კორდობა | 2.45 | 3.00 | 2.65 | 1.34 | 1.27 | 1.40 |
| 20:00 | 183 | სერესი-სალამანკა | 2.15 | 3.00 | 3.20 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| 21:00 | 184 | ალბასეტე-ტენერიფე | 2.20 | 3.00 | 3.10 | 1.26 | 1.28 | 1.52 |
| 20:00 | 185 | ნუმანსია-გრანადა | 1.60 | 3.30 | 5.20 | 1.07 | 1.22 | 2.01 |
| 20:00 | 186 | სპორტინგი-კადისი | 1.75 | 3.10 | 4.50 | 1.11 | 1.25 | 1.83 |
| 20:00 | 187 | ფეროლი-სევილია ბ | 2.35 | 3.00 | 2.80 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| 22:00 | 188 | სოსიედადი-მალაგა | 2.45 | 3.00 | 2.65 | 1.34 | 1.27 | 1.40 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 190 | კაენი-ბორდო | 3.00 | 2.90 | 2.30 | 1.47 | 1.30 | 1.28 |
| 23:00 | 192 | ლანსი-ლორიანი | 1.85 | 3.00 | 4.30 | 1.14 | 1.29 | 1.76 |
| 23:00 | 193 | მარსელი-მეცი | 1.45 | 3.50 | 7.00 | 1.02 | 1.20 | 2.33 |
| 23:00 | 194 | ნანსი-ლილი | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 20:10 | 196 | რენი-ლიონი | 3.50 | 2.90 | 2.05 | 1.58 | 1.29 | 1.20 |
| 23:00 | 197 | სტ.ეტიენი-სოშო | 1.90 | 3.00 | 4.10 | 1.16 | 1.29 | 1.73 |
| 23:00 | 198 | სტრასბური-ვალენსიენი | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 23:00 | 199 | ტულუზი-მონაკო | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| | | 25 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 63 | ნიცა-პსჟ | 2.60 | 2.80 | 2.70 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| 21:00 | 189 | ოსერი-ლე მანი | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 23 ნოემბერი | | | | | | |
| 22:30 | 200 | ბრედა-როდა | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 22:30 | 201 | ჰერენვენი-გრააფსხაპი | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 22:30 | 202 | ალკმაარი-ტილბურგი | 1.22 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.09 | 3.53 |
| 22:30 | 203 | ექსელსიორი-პსვ | 8.00 | 4.30 | 1.32 | 2.79 | 1.13 | 1.00 |
| 22:30 | 205 | ჰერაკლესი-ვენლო | 1.80 | 3.40 | 3.90 | 1.17 | 1.23 | 1.81 |
| | | 25 ნოემბერი | | | | | | |
| 17:30 | 206 | უტრეხტი-ნაიმეგენი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 17:30 | 208 | აიაქსი-ვიტესი | 1.25 | 4.30 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.00 |
| 17:30 | 210 | გრონინგენი-ფეიენოორდი | 3.50 | 3.30 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 23 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 212 | ემენი-კამბური | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| 23:00 | 213 | ჰაარლემი-ომნივორლდი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 23:00 | 214 | ვოლენდამი-როზენდალი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:00 | 215 | დორდრეხტი-აპელდორნი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 23:00 | 216 | ჰელმონდი-მაასტრიხტი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 23:00 | 217 | ვალვაიკი-ტელსტარი | 1.28 | 4.70 | 9.00 | 1.00 | 1.12 | 3.08 |
| 23:00 | 218 | იგლზი-ოსი | 1.50 | 3.60 | 5.70 | 1.05 | 1.18 | 2.20 |
| 23:00 | 219 | დენ ბოსხი-ვეენდამი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 23:00 | 220 | სიტარდი-ზვოლე | 3.70 | 3.30 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.18 |
| 23:00 | 221 | დენ ჰააგი-ეინდჰოვენი | 1.37 | 3.90 | 7.70 | 1.01 | 1.16 | 2.58 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 23 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 232 | ლეირია-ბრაგა | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 222 | აკადემიკა-ბენფიკა | 8.00 | 3.80 | 1.37 | 2.57 | 1.16 | 1.00 |
| 23:15 | 229 | ლეიშოეში-სპორტინგი | 5.30 | 3.40 | 1.60 | 2.07 | 1.22 | 1.08 |
| | | 25 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 224 | ბელენენსეში-ამადორა | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 22:15 | 227 | პორტუ-სეტუბალი | 1.30 | 4.40 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.89 |
| 20:00 | 230 | მარიტიმუ-ნავალი | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 20:00 | 231 | ფერეირა-ნასიონალი | 2.15 | 3.10 | 3.10 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| | | 26 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 225 | ბოავიშტა-გიმარაეში | 2.60 | 3.00 | 2.60 | 1.39 | 1.29 | 1.39 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 18:45 | 241 | ლევადეიაკოსი-არისი | 4.05 | 3.00 | 1.85 | 1.72 | 1.26 | 1.14 |
| 21:00 | 242 | ოლიმპიაკოსი-ვეროია | 1.08 | 7.40 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 4.95 |
| | | 25 ნოემბერი | | | | | | |
| 17:00 | 243 | კალამარია-ატრომიტოსი | 2.50 | 2.80 | 2.75 | 1.32 | 1.30 | 1.38 |
| 18:45 | 244 | ერგოტელისი-ასტერას ტრიპოლისი | 2.20 | 2.90 | 3.10 | 1.25 | 1.28 | 1.49 |
| 18:45 | 245 | პაოკ-პანიონიოსი | 2.05 | 3.00 | 3.35 | 1.21 | 1.27 | 1.58 |
| 18:45 | 246 | ქსანთი-ირაკლისი | 1.60 | 3.20 | 5.20 | 1.06 | 1.22 | 1.98 |
| 21:00 | 247 | აეკ-ოფი | 1.18 | 5.40 | 11.00 | 1.00 | 1.06 | 3.62 |
| 21:00 | 248 | ლარისა-პანათინაიკოსი | 5.10 | 3.30 | 1.60 | 2.00 | 1.21 | 1.07 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 23 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 275 | სლავია-სიგმა | 1.35 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.66 |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 21:45 | 271 | ბოლესლავი-ტეპლიცე | 2.50 | 3.00 | 2.60 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| | | 25 ნოემბერი | | | | | | |
| 23:15 | 269 | ბრნო-სპარტა | 3.30 | 3.00 | 2.10 | 1.57 | 1.28 | 1.23 |
| 16:30 | 270 | ბოჰემიანსი -ზლინი | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| 20:00 | 272 | მოსტი-ჟიჟკოვი | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| 18:00 | 273 | ბუდეიოვიცე-ლიბერეცი | 2.65 | 2.80 | 2.60 | 1.36 | 1.31 | 1.34 |
| 18:00 | 274 | იაბლონეცი-პლზენი | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| | | 26 ნოემბერი | | | | | | |
| 20:15 | 268 | კლადნო-ბანიკი | 3.30 | 3.00 | 2.10 | 1.57 | 1.28 | 1.23 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 289 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1.70 | 3.40 | 4.80 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| | | 25 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 288 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 19:00 | 290 | ჰორსენსი-ვიბორგი | 1.70 | 3.50 | 4.00 | 1.14 | 1.19 | 1.86 |
| 17:00 | 291 | რანდერსი-ლიუნგბიუ | 1.50 | 4.00 | 5.80 | 1.09 | 1.19 | 2.36 |
| 21:00 | 293 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| | | 26 ნოემბერი | | | | | | |
| 22:00 | 292 | ორჰუსი-ნორდსიელანდი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| | | მექსიკა | | | | | | |
| 23:45 | 868 | მორელია-სანტოსი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 23:45 | 869 | პუმასი-ტოლუკა | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| | | შოტლანდია. Challenge Cup | | | | | | |
| | | 25 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 350 | დანფერმლაინი-სტ.ჯონსტონი | 2.90 | 3.30 | 2.05 | 1.54 | 1.20 | 1.26 |
| | | შოტლანდია. Tennents Cup | | | | | | |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 858 | ერდრი-ქუინს პარკი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 19:00 | 859 | ალბიონი-ისტ სტირლინგი | 1.85 | 3.40 | 3.35 | 1.19 | 1.19 | 1.68 |
| 19:00 | 860 | არბროთი-კოუდენბითი | 2.65 | 3.40 | 2.20 | 1.48 | 1.20 | 1.33 |
| 19:00 | 861 | ბრეჩინი-ისტ ფაიფი | 2.45 | 3.40 | 2.35 | 1.42 | 1.19 | 1.38 |
| 19:00 | 862 | კლაიდი-მონტროუზი | 1.48 | 3.60 | 5.50 | 1.04 | 1.16 | 2.17 |
| 19:00 | 863 | დამბარტონი-ბერიკი | 2.70 | 3.40 | 2.15 | 1.50 | 1.19 | 1.31 |
| 19:00 | 864 | ლივინგსტონი-ალოა | 1.60 | 3.50 | 4.70 | 1.09 | 1.19 | 2.00 |
| 19:00 | 865 | პარტიკი-ეარი | 1.55 | 3.60 | 4.75 | 1.08 | 1.16 | 2.04 |
| 19:00 | 866 | პიტერჰედი-ქუინი | 2.35 | 3.40 | 2.50 | 1.38 | 1.21 | 1.44 |
| 19:00 | 867 | სტრანრარი-სტირლინგი | 3.40 | 3.40 | 1.85 | 1.70 | 1.19 | 1.19 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 22 ნოემბერი | | | | | | |
| 21:00 | 564 | ჰვ 71-აიკ | 1.35 | 4.30 | 4.80 | 1.02 | 1.05 | 2.26 |
| 21:00 | 565 | ლულეო-ფრიოლუნდა | 2.10 | 4.00 | 2.20 | 1.37 | 1.07 | 1.41 |
| 21:00 | 566 | ლინჩიოპინგი-ბრიუნესი | 1.50 | 4.20 | 3.80 | 1.10 | 1.07 | 1.99 |
| 21:00 | 567 | სიოდერტელიე-ტიმრე | 2.30 | 4.00 | 2.00 | 1.46 | 1.06 | 1.33 |
| 21:00 | 568 | მოდო-მორა | 1.50 | 4.20 | 3.50 | 1.10 | 1.04 | 1.90 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 22 ნოემბერი | | | | | | |
| 20:30 | 583 | ესპოო-კალპა | 1.25 | 4.50 | 5.50 | 1.00 | 1.01 | 2.47 |
| 20:30 | 584 | იუვესკიულე-ჰაამეენლინა | 1.75 | 4.20 | 2.50 | 1.23 | 1.02 | 1.56 |
| 20:30 | 585 | კერპეტი-ჰელსინკი | 1.45 | 4.30 | 4.10 | 1.08 | 1.07 | 2.09 |
| 20:30 | 587 | ტაპარა-სეიპა | 1.50 | 4.30 | 3.50 | 1.11 | 1.04 | 1.92 |
| 20:30 | 588 | ტურკუ-ილვესი | 1.90 | 4.10 | 2.40 | 1.29 | 1.06 | 1.51 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 22 ნოემბერი | | | | | | |
| 18:00 | 685 | მაგნიტოგორსკი-ნოვოკუზნეცკი | 1.12 | 5.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 2.72 |
| 17:30 | 686 | ტრაქტორი-სიბირი | 1.65 | 4.20 | 2.50 | 1.18 | 1.00 | 1.56 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა | | | | | | |
| | | 22 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 838 | ბარსელონა-რეალი | 1.60 | 12.00 | 2.10 | 1.41 | 1.00 | 1.78 |
| 20:00 | 842 | არისი-მილანი | 1.12 | 12.00 | 4.80 | 1.02 | 1.00 | 3.42 |
| 20:00 | 843 | მაკაბი-ციბონა | 1.15 | 12.00 | 4.00 | 1.04 | 1.00 | 3.00 |
| 20:00 | 844 | ლე მანი-უნიკახა | 2.30 | 12.00 | 1.55 | 1.93 | 1.00 | 1.37 |

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა თბილისში გამართული „ჩელენჯ ტროფი“ რომ მოიგო, გუნდს მამუკა მჟავანაძე წვრთნიდა. მაშინვე ითქვა, გამარჯვების მიუხედავად, ჩვენმა ნაკრებმა შესაძლებლობის მხოლოდ ნახევარი გამოავლინა და სხვა მწვრთნელი სჭირდებაო. მჟავანაძის მწვრთნელობამ ერთ თვეს გასტანა. ახლა ნაკრებს დროებით იმედო ფხაკაძე თავკაცობს, რომელიც იქამდე მჟავანაძის კონსულტანტად მუშაობდა. ერთ-ერთი, ვინც მჟავანაძის სანაკრებო დონეს ეჭვქვეშ აყენებდა, ძველი ხელბურთელი, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი იყო, ვინაც რედაქციაში დაგვიკავშირდა და გვთხოვა, ჩემი აზრი მათქმევინეთო



# ჯანო ბაგრატიონი: ქართული ხელბურთი მცდარი გზით მიდის

— თავიდანვე ვიტყვი, რომ პიროვნულად არავის ვერჩი. უბრალოდ, გული მტკივა, ჩვენი ხელბურთი ასეთ სავალალო მდგომარეობაში რომ არის. ხელბურთით დაიწყო ჩემი სპორტული ცხოვრება და თავს უფლებას ვერ მივცემ, ჩუმად ვიყო.

**— ჩვენი ხელბურთი სავალალო მდგომარეობაშიაო, ამბობთ. არადა, ნაკრებმა ახლახან „ჩელენჯ ტროფი“ მოიგო. თანაც ბოლო წლებისგან განსხვავებით, პროგრესი იგრძნობა და მთავრობამაც გამოიხედა ხელბურთისკენ...**

— „ჩელენჯ ტროფი“ ძალიან დაბალი დონის ტურნირია. მეტოქეებიდან მხოლოდ მოლდოვას აქვს სახელბურთო ტრადიციები. სომხეთი და აზერბაიჯანი კი უსუსტესი გუნდები არიან. მოლდოვასთან საქართველო ბეწვზე გადაურჩა მარცხს, მეკარე შოთა თევზაძეს საოცრებები რომ არ ეკეთებინა, მოლდოვა თამაშს მოგვიგებდა. თანაც ჩვენებმა, ფაქტობრივად, ინდივიდუალური ოსტატობით შეძლეს მეტოქის დამარცხება, თორემ მწვრთნელის ხელი გუნდს, სამწუხაროდ, არ ეტყობოდა. ჩემთვის გაუგებარია, რა დამსახურებით დანიშნეს მამუკა მჟავანაძე მწვრთნელად. ან თუ დანიშნეს და ნაკრებმა რაღაც ტურნირი მოიგო, რატომღა მოხსნეს. ფედერაციაშიც მიხვდნენ, რომ ამ კაცს არ შეუძლია ნაკრების დონეზე საქმიანობა და გაუშვეს. აქ მჟავანაძე არაფერ შუაშია, არ შეუძლია კაცს და, გინდა თუ არა, ნაკრების მწვრთნელი უნდა იყოო. მანამდეც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ თევზაძე ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს იღებს, რადგან თანამდებობის შესაფერისი პროფესიონალიზმი არ გააჩნია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ პირადად არავის არაფერს ვერჩი, მაგრამ თამაზ თევზაძე არავის აზრს და რჩევას არ ითვალისწინებს. ალმასკომშიც ისეთი ხალხი შეიყვანა, ხელბურთთან შეხება რომ არ აქვთ და აკი ჩვენი ხელბურთი მცდარი გზით მიდის.

**— ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებისას თქვენ თამაზ თევზაძის კონკურენტი იყავით, მაგრამ კანდიდატურა მოხსენით. რატომ?**

— ვიფიქრე, ახალგაზრდა, ენერგიული კაცია, თანაც უცხოურ ფედერაციებთან კარგი ნაცნობობა აქვს და ქართულ ხელბურთს ხეირს მოუტანს-მეთქი, მაგრამ შევცდი. მისი გადაწყვეტილებები არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება.

**— თქვენ რომ იყოთ ფედერაციის პრეზიდენტი, ვის დანიშნავდით ნაკრების მწვრთნელად?**

— მამუკა მჟავანაძე კლუბ „თბილისის“ მწვრთნელიცაა, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის ფინალში ათი ბურთის სხვაობით დამარცხდა სტუ-სთან. სტუ-ს კი ძალიან კარგი ახალგაზრდები წვრთნიან, ირაკლი კეკელიძე და ბექა ორჯონიკიძე. ეს ბიჭები მერაბ მეტრეველის ასისტენტები იყვნენ, როდესაც ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა მსოფლიოს საუნივერსიტეტო ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა. თანაც დღევანდელ ნაკრებს სწორედ იმ გუნდის ხერხემალი შეადგენს. ჩემი აზრით, კეკელიძის და ორჯონიკიძის კანდიდატურები საუკეთესო ვარიანტია. კარგი იქნება, თუ თამაზ თევზაძე იფიქრებს ამაზე და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, თორემ დრო გადის და პერსპექტივა არ ჩანს. აქ ერთსაც ვიტყვი: თევზაძემ კარგი რაც გააკეთა, რამდენიმე ქართველი ჭაბუკი ხელბურთელის ნორვეგიაში სტაჟირება იყო, მაგრამ აქაც დაუშვა შეცდომა, როდესაც ბიჭებს მწვრთნელთა სემინარებზე მამუკა მჟავანაძე და ვახტანგ ბერიაშვილი გააყოლა. ბერიაშვილი კარგი ხელბურთელი იყო, მაგრამ მისი მწვრთნელობა არავის გაუგია. ჩვენ, ფაქტობრივად, ერთი სახელბურთო სკოლა გვაქვს გლდანში, ჯემალ ცერცვაძის სახელობის სკოლას ვგულისხმობ, მაგრამ თევზაძე ამ სკოლას რატომღაც იგნორირებას უკეთებს. არადა, იქ რამდენიმე მწვრთნელია, ვისაც ჭაბუკებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ და სემინარი მათ უფრო წაადგებოდათ. ფედერაცია არაფერს აკეთებს რეგიონებში ხელბურთის განსავითარებლად. სირცხვილია, როდესაც ოთხგუნდიან ჩემპიონატს ატარებ, და თანაც აქედან მხოლოდ ქუთაისია რეგიონიდან, დანარჩენები კი თბილისური კლუბები არიან. ხელბურთის პოპულარიზაციისთვის ერთი ტური ბათუმში უნდა ჩაატარო, ერთი — თელავში, ერთი ქუთაისში და დააინტერესო ხალხი.

**ბაჩო სვანიძე**

# იმედიანი განრიგი

**ხელბურთის** ქომაგებს ეხსომებათ, რომ ეროვნულმა ფედერაციამ ნაკრების კონსულტანტ იმედო ფხაკაძეს სამომავლო გეგმის წარმოდგენა დაავალა, რომელსაც ახლა გაგაცნობთ, თუმც გეტყვით, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხი უახლოეს დღეებში უნდა გაირკვეს, დროებით კი ნაკრებს სწორედ იმედო ფხაკაძე უთავკაცებს.

ადგილობრივი ხელბურთელები, როგორც ახალგაზრდულის, ისე ეროვნული ნაკრების, 26 ნოემბერს დაიწყებენ შეკრებას. 6-16 დეკემბრამდე კი თელავში გაივლიან მომზადებას. 17-ში უკვე თურქეთში გაემგზავრებიან ამხანაგური თამაშების ჩასატარებლად. იქ ორივე ნაკრები სამ-სამ თამაშს გამართავს და 23-ში თბილისში დაბრუნდება. საახალწლო შესვენების მერე იგეგმება ერთკვირიანი წინასალუქსემბურგო მომზადება ნორვეგიაში, თუმც ეს საბოლოოდ გადაწყვეტილი ჯერ არ არის. 20 იანვრის შემდეგ ნაკრები დროებით დაისვენებს, ახალგაზრდული კი, სავარაუდოდ, თურქების საპასუხო ვიზიტს დაელოდება, რომ მარტში გასამართ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევისთვის მოემზადოს.

ივლისში იტალიაში მსოფლიო უნივერსიადა გველის. იქ მხოლოდ ის ხელბურთელები გაემგზავრებიან, ვინც 27 წელს არ იქნება გადაცილებული.

სექტემბერში ან ოქტომბერში თურქეთის ნაკრები გვეწვევა და ეს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი მოსამზადებელი ეტაპი იქნება.

**ლევან მაისურაძე**



# ძველი იარა და ისევ ექვსი

**პროფესიული** სუმოს სეზონის დასრულებამდე ოთხი დღეღა რჩება. ნოემბრის ბაშოზე თერთმეტი ტური ჩაჭიდავდა და მთავარ ფავორიტთა სია ზუსტად ისეთივეა, როგორიც წინა დღეებში იყო. იმპერატორის თასთან ყველაზე ახლოს იოკოძუნა ხაკუხო, ოძეკები ტიოტაიკაი და კოტომიცუკი და რიგითი მაეგაშირა ბალტი დგანან. ამ ოთხეულს ანგარიშზე ცხრა-ცხრა ქულა მოეპოვება.

მათ უკან რვაქულიანი სეკიტორები დეძიმა და ვაკაკირინი დგანან. ამ ექვსეულს კი კვალში ის ჯგუფი ჩასდგომია, გუშინდლამდე ქართველი კოკაის ჯგუფად რომ ვიხსენიებდით. მეთერთმეტე ტური ლევან ცაგურიასთვის უიღბლო გამოდგა. „შავმა ზღვამ“ 175-კილოგრამიან დევიკც ტოიოხიბიკისთან წააგო და დადებითი ბალანსი ისევ მინიმუმამდე შეუმცირდა.

ამ შეხვედრისას ჩვენებური მარჯვენა მუხლმა შეაწუხა. ბაშოს ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, ცაგურიამ ტრავმა ორი დღის წინ, ბალტთან ჭიდაობისას მიიღო.

ექვსქულიანი ქართველი დღეს რიგით მაეგაშირა ვაკანოხოს დაეჭიდება. ტურის მთავარი შერკინება კი ტიოტაიკაი-კოტომიცუკის ბრძოლა იქნება.

**ოთარ მაღლაკელიძე**






# ჰაილეს ჯერ სამი

**უნიკალური** კაცია ჰაილე გებრსელასიე. მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი ხომ გახლავთ და თანაც სხვადასხვა სტაიერულ დისტანციებზე ოცზე მეტ მსოფლიო რეკორდსაც ფლობს. მიუხედავად იმისა, რომ დიდ ეთიოპს აგვისტო-სექტემბრის მიჯნაზე იაპონურ ოსაკაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი გაუცდა, მას მაინც კარგი წელი ჰქონდა და თავის მრავლისმნახველ კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო რეკორდი დაამყარა — 30 სექტემბერს ბერლინის მარათონი 2:04.26 შედეგით მოიგო და კენიელ პოლ ტერგატს მსოფლიო რეკორდი ჩამოართვა.

ჰაილე ნამდვილად არ ნანობს, რომ მეოთხე ათწლეულში შებიჯების შემდეგ 10 კილომეტრზე სირბილს შეეშვა და მარათონებზე გადაერთო. ზედიზედ მესამე წელია, მისი ხდება სეზონის რეკორდი — 2005, 2006 და 2007 წლებში ვერავინ ირბინა 42-კილომეტრიანი დისტანცია მასზე სწრაფად. გებრსელასიე სულ მეხუთე ადამიანია, ვინც ზედიზედ სამი წელი არავის უთმობს სეზონის რეკორდს. ბოლოს ეს 48 წლის წინ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა სერგეი პოპოვმა შეძლო. ისიც ვთქვათ, რომ გებრსელასიემ აშკარად კარგად მოარგო ფეხი ბერლინის გზებს და ყველაზე სწრაფად სწორედ ზომიერ გერმანულ კლიმატში დარბის.

ქვემოთ კი გთავაზობთ იმ ხუთი მარათონელის სიას, რომელთაც ზედიზედ სამი სეზონი ილიდერეს გრძელ გზატკეცილზე.

**კოტე ყორშია**

| | | |
|---|---|---|
| **კაცები** | | |
| **ჯიმ პიტერსი (ბრიტანეთი)** | | |
| 1952 | 2:20.42,2 | უინძორი |
| 1953 | 2:18.34,8 | ტურკუ |
| 1954 | 2:17.39,4 | ჩისვიკი |
| **სერგეი პოპოვი (სსრკ)** | | |
| 1957 | 2:19.50,0 | მოსკოვი |
| 1958 | 2:15.17,6 | სტოკჰოლმი |
| 1959 | 2:17.45,2 | კოშიტე |
| **ჰაილე გებრსელასიე (ეთიოპია)** | | |
| 2005 | 2:06.20 | ბერლინი |
| 2006 | 2:05.56 | ბერლინი |
| 2007 | 2:04.26 | ბერლინი |
| **ქალები** | | |
| **გრეტა ვაიტცი (ნორვეგია)** | | |
| 1978 | 2:32.30 | ნიუ იორკი |
| 1979 | 2:27.33 | ნიუ იორკი |
| 1980 | 2:25.42 | ნიუ იორკი |
| **ტეგლა ლორუპე (კენია)** | | |
| 1997 | 2:22.07 | როტერდამი |
| 1998 | 2:20.47 | როტერდამი |
| 1999 | 2:20.43 | ბერლინი |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



დირკ ნოვიცკიმ ტორონტოელთა დაცვა გაჭრა

# თავს არ მოიკლავს ლებრონი, არა! ბომბარდირი ისევ კობი ბრაიანტი იქნება

20 ნოემბერი

**ატლანტა 83:95 სან ანტონიო**

ატლანტა: ჯ. ჯონსონი, (2), ჯ. ჯონსონი (20), მ. უილიამსი (16), სმიტი (11), ფაჩულია (11 წუთი, 6 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი); ჰორფორდი (11), ჩილდრესი (9), ვესტი (5), შ. უილიამსი (3), ჯონსი

სან ანტონიო: პარკერი (31 ქულა, 9 პასი), ფინლი (10), ბოუენი (2), დანკანი (13), ობერტო (10 ქულა, 10 მოხსნა); ჯინობილი (19), ბონერი (3), უდოკა (3), ვონი (2), ელსონი (2), ვაშინგტონი

**კლივლენდი 107:111 მილუოკი**

კლივლენდი: ჯეიმსი (34 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი), გიბსონი (26), ილგაუსკასი (16 ქულა, 12 მოხსნა)

მილუოკი: რედი (34), უილიამსი (20 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა), ვილანუევა (17), აივი (15)

**დალასი 105:99 ტორონტო**

დალასი: ნოვიცკი (32), ჰარისი (19), ტერი (19), ჰოვარდი (15)

ტორონტო: ბოში (31 ქულა, 12 მოხსნა), ბარნანი (20), კალდერონი (14), ფორდი (13)

**ნიუ იორკი 82:108 გოლდენ სტეიტი**

ნიუ იორკი: მარბერი (18), რენდოლფი (15 ქულა, 16 მოხსნა), კროუფორდი (15)

გოლდენ სტეიტი: დევისი (31), ჯექსონი (23), პიეტრუსი (16)

**ინდიანა 114:134 ლეიკერსი**

ინდიანა: უილიამსი (23), გრეინჯერი (17), ონილი (14)

ლეიკერსი: ბრაიანტი (32), ფარმარი (18), ბინამი (17 ქულა, 10 მოხსნა)

**ვაშინგტონი 116:101 ფილადელფია**

ვაშინგტონი: ბლეტჩი (26), სტივენსონი (19), ჯემისონი (19), დანიელსი (15)

ფილადელფია: უილიამსი (25), იონგი (14)

**საკრამენტო 98:100 ფინიქსი**

საკრამენტო: არტესტი (33 ქულა, 12 მოხსნა), მარტინი (15), გარსია (14)

ფინიქსი: სტუდემაიერი (26 ქულა, 13 მოხსნა), ბარბოსა (22), ჰილი (19), ნეში (14 ქულა, 12 პასი)

**დენვერი 112:91 ჩიკაგო**

დენვერი: ენტონი (26), აივერსონი (22), კემბი (12 ქულა, 20 მოხსნა, 5 დაფარება)

ჩიკაგო: ნოა (16), ჰაინრიხი (14), გარდნერი (14)

ზაზა ფაჩულიას „ატლანტა“ კარგად დაწყებულ საქმეს ცუდად აგრძელებს. დასავლური ბობოლების — „დალასისა“ და „ფინიქსის“ მძლეველ „ქორებს“ კლანჭები დაუბლაგვდათ და მკვლელის ინსტინქტი დაუჩლუნგდათ, ზედიზედ მესამე თამაში წააგეს. მართალია, „სან ანტონიოსთან“ თუნდაც საკუთარ კედლებში წაგებისთვის არავინ გაგკიცხავს, მაგრამ მარცხიცაა და მარცხიც. ატლანტელებმა პირველი მეოთხედი 9 ქულით დათმეს, მეორეში კი საერთოდ დაყარეს ფარხმალი. სანანტონიოელთა გამთამაშებელმა ტონი პარკერმა პირდაპირ ჯოჯოხეთის ცეცხლი დაუნთო მასპინძლებს — თამაშიდან 9-ჯერ შეუტია მათ კალათს და 7 ჩაუგდო, სულ კი 12 წუთში 17 ქულა უყელა და სხვაობა 20 ქულამდე გაზარდა. მეორე ტაიმში „ატლანტამ“ თითქოს შეძლო რაღაცის შეცვლა, მაგრამ ჩემპიონს 10 ქულაზე მეტად ვერ მიუახლოვდა.

„ვიცოდით, რომ ამ გუნდს „დალასი“ და „ფინიქსი“ ჰყავდა დამარცხებული. ასე რომ, დღევანდელ თამაშს მთელი სერიოზულობით მოვეკიდეთ“ — ამბობდა ნამატჩევს ჩემპიონთა ლიდერი ტიმ დანკანი, რომელმაც ზაზა ფაჩულიასთან და ალ ჰორფორდთან ჭიდილში მხოლოდ 13 ქულა გააზრხა, მაგრამ, კიდევ ვთქვათ, იმ საღამოს მატჩის ბედი ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გადაწყვიტა ტონი პარკერმა.

სამშაბათს „სან ანტონიოს“ დარად იმარჯვეს ბოლო ხანებში მის კონკურენტებად ქცეულმა „ფინიქსმა“ და „დალასმა“, ოღონდ ორივეს გაცილებით მეტი ოფლის მოდენა დასჭირდა, განსაკუთრებით კი მეორეს. „დალასი“ „ტორონტოს“ მასპინძლობდა და რაღაც მანქანებით უკვე მეორე მეოთხედის შუაწელს 24 ქულით აგებდა. „მავერიქსის“ მწვრთნელმა აივერი ჯონსონმა ნოვიცკი და სხვა ლიდერები დაასკამა, რომელთაც დაცვაში კარაქივით ჭრიდნენ ტორონტოელები. მასპინძლები განადგურებისგან გამთამაშებელმა დევინ ჰარისმა იხსნა, რომლის ლიდერობითაც „დალასმა“ იმ კოშმარულ მეორე მეოთხედის დასკვნითი წუთები 12:0 გაქცევით ჩაამთავრა და დიდ შესვენებაზე ნაკლებად შემაშფოთებელი 14-ქულიანი ჩამორჩენით გავიდა. მესამე პერიოდში კი ბოლოს და ბოლოს გამოიღვიძა წინა სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ დირკ ნოვიცკიმ, ვინც ამ დროს 18 ქულა გააკეთა და 38:17 მოაგებინა თავისიანებს. გერმანელმა გოლიათმა მეოთხედის ბოლოს ზედიზედ 4 სამქულიანი დასჭექა და დასკვნითი მეოთხედის წინ 7-ქულიანი უპირატესობა შეუქმნა „დალასს“.

საინტერესო თამაშს უმასპინძლა „კლივლენდმა“. „მილუოკის“ ამ გუნდთან გასვლაზე 2003 წლის იანვრიდან ვერ მოეგო, ანუ ლებრონ ჯეიმსის გამოჩენიდან დღემდე იქ ზედიზედ რვაჯერ წააგო. ახლა კი მაიკლ რედის წყალობით ნავსი გატეხა და თვითონ გაიუმჯობესა, მეტოქეს კი გაუუარესა მოგება-წაგებათა ბალანსი. რაც შეეხება თავად ლებრონს, „კლივლენდის“ 22 წლის სუპერვარსკვლავმა 34 ქულით ჩაამთავრა მატჩი. ჯერ რა დროს ბომბარდირობაზეა საუბარი, სეზონი სამი კვირის დაწყებულია, მაგრამ მაინც ვთქვათ: ლებრონ ჯეიმსი საშუალოდ ნაგროვები 29,2 ქულით ლიდერობს ლიგის რჩეულ მექულეებს. ამ თამაშის შემდეგ მას ჰკითხეს, ბოლომდე ასე ხომ არ აპირებ გაგრძელებას და მთავარ ბომბარდირად ქცევასო. ამაზე ლებრონმა მიუგო, შანსი არაა, ლოსანჯელესელი ბიჭი ცოცხალი თავით არავის დაუთმობს მაგ საქმეში პირველობასო. ლოსანჯელესელ ბიჭში ის, ცხადია, ლეიკერსელ კობი ბრაიანტს გულისხმობდა და არა, ვთქვათ, კლიპერსელ კუტინო მობლის.

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | | | | დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| ბოსტონი | 8 | 1 | 88,9 | სან ანტონიო | 9 | 2 | 81,8 |
| ტორონტო | 5 | 6 | 45,5 | დალასი | 8 | 2 | 80,0 |
| ნიუ ჯერსი | 4 | 7 | 36,4 | ნიუ ორლეანი | 9 | 3 | 75,0 |
| ფილადელფია | 3 | 7 | 30,0 | ჰიუსტონი | 6 | 5 | 54,5 |
| ნიუ იორკი | 2 | 8 | 20,0 | მემფისი | 3 | 7 | 30,0 |
| **ცენტრალური** | | | | **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| დეტროიტი | 6 | 4 | 60,0 | დენვერი | 8 | 3 | 72,7 |
| მილუოკი | 5 | 4 | 55,6 | იუტა | 8 | 4 | 66,7 |
| კლივლენდი | 5 | 6 | 45,5 | პორტლენდი | 4 | 7 | 36,4 |
| ინდიანა | 4 | 7 | 36,4 | სიეტლი | 2 | 10 | 16,7 |
| ჩიკაგო | 2 | 8 | 20,0 | მინესოტა | 1 | 7 | 12,5 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | **წყნარი ოკეანე** | | | |
| ორლანდო | 9 | 2 | 83,3 | ფინიქსი | 9 | 2 | 81,8 |
| შარლოტი | 6 | 4 | 60,0 | ლეიკერსი | 7 | 3 | 70,0 |
| ვაშინგტონი | 5 | 5 | 50,0 | კლიპერსი | 5 | 4 | 55,6 |
| ატლანტა | 3 | 7 | 30,0 | საკრამენტო | 4 | 7 | 36,4 |
| მაიამი | 2 | 8 | 20,0 | გოლდენ სტეიტი | 3 | 6 | 33,3 |

# 26 წუთში 27 ქულა ფრანგული პო მარკოიშვილმა გააპო

**მანუჩარ მარკოიშვილმა** კიევში ფრთები გაშალა. ულებ-ის თასის მორიგ ტურში „ბკ კიევი“ ფრანგულ „პო ორტეზს“ ხვდებოდა და ქართველმა უკანახაზელმა, შეიძლება ითქვას, პირადად გაამარჯვებინა თავისიანებს. „მანუმ“ საოცარი შედეგიანობა გამოიჩინა — 26 წუთში 27 ქულა მოინაგრა და კიეველების აქამდელ უთუმცაო ლიდერ მარკუს ფეისონს მთელი 12 ქულით აჯობა.

მარკოიშვილმა 10 ცდიდან 6 ორქულიანი ჩააგდო და შორი მანძილიდან კიდევ უფრო მეტი სიზუსტე გამოავლინა: 7-დან — 5. მის ანგარიშზეა ასევე 3 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი, თუმც სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, 27-მა ქულამ უდიდესი სამსახური გაუწია კიეველებს.

უკრაინული კლუბის უპირატესობა აშკარა იყო პირველივე წუთებიდან. მარკოიშვილის გუნდმა პირველი მეოთხედი 29:16 მოიგო, მეორეშიც აჯობა ფრანგებს და გადამწყვეტი ათწუთეულის წინ გამარჯვება გაინაღდა — 74:37 იგებდა და „პო ორტეზი“ ისეთ დღეში იყო, სასწაულიც არ უშველიდა.

აღსანიშნავია, რომ მესამე მეოთხედის ბოლოს მარკოიშვილმა პირადად გამოუტანა განაჩენი ფრანგებს, როცა მიჯრით მიითვალა 15 ქულა. „მანუმ“ სამი სამიანი და სამი ორიანი დაასეტყვა პოელებს და აგრძნობინა, რომ კიევში მოგებაზე არ უნდა ეფიქრათ.

ამ გამარჯვებით „ბკ კიევმა“ თავისი ჯგუფის ლიდერობა გაიმყარა. უკრაინული გუნდი 3-დან 3 გამარჯვებით იწონებს თავს და, რაც მთავარია, კიეველებს მოევლინათ კიდევ ერთი ლიდერი — მანუჩარ მარკოიშვილი.

**ირაკლი პერტაია**

## ულებ-ის თასი. ჯგუფური ეტაპი მესამე ტური. 19-20 ნოემბერი

**A ჯგუფი**

შაულიაი (ლიტვა) 85:76 ბოსნა (ბოსნია)
ალბა (გერმანია) 81:63 გილფორდი (დიდი ბრიტანეთი)
ხუვენტუდი (ესპანეთი) 102:83 ტელეკომი (თურქეთი)
ხუვენტუდი 6, ალბა 5, ტელეკომი 5, ბოსნა 4, შაულიაი 4, გილფორდი 3

**B ჯგუფი**

FMP (სერბეთი) 77:78 ბეშიქთაში (თურქეთი)
ვენტსპილსი (ლატვია) 88:73 კიოლნი (გერმანია)
ოვარენში (პორტუგალია) 86:99 შალონი (საფრანგეთი)
ბეშიქთაში 6, ვენტსპილსი 5, შალონი 5, აძზ 4, კიოლნი 4, ოვარენშე 3

**C ჯგუფი**

ჰემოფარმი (სერბეთი) 95:85 ასოფტი (რუმინეთი)
გალათასარაი (თურქეთი) 75:83 შარლერუა (ბელგია)
ხირონა (ესპანეთი) 96:63 ჰანზევასტი (ჰოლანდია)
ხირონა 5, გალათასარაი 5, შარლერუა 5, ჰემოფარმი 5, ასოფტი 4, ჰანზევასტი 3

**D ჯგუფი**

ხიმკი (რუსეთი) 81:69 სკაილაინერსი (გერმანია)
ნანსი (საფრანგეთი) 80:57 აზოვმაში (უკრაინა)
პამესა (ესპანეთი) 78:58 ანვილი (პოლონეთი)
პამესა 6, ხიმკი 6, ნანსი 4, აზოვმაში 4, ანვილი 4, სკაილაინერსი 3

**E ჯგუფი**

ელიონი (ისრაელი) 93:83 ანტვერპენი (ბელგია)
ფრაიბურგი (გერმანია) 73:82 ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)
სვანსი (შვედეთი) 53:83 ტრიუმფი (რუსეთი)
ტრიუმფი 6, ბუდუჩნოსტი 5, სვანსი 5, ელიონი 4, ფრაიბურგი 4, ანტვერპენი 3

**F ჯგუფი**

ნიმბრუკი (ავსტრია) 75:65 პანელინიოსი (საბერძნეთი)
დინამო (რუსეთი) 97:76 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
ბოლონია (იტალია) 76:89 ოსტენდე (ბელგია)
დინამო 5, ოსტენდე 5, ცრვენა ზვეზდა 5, ნიმბრუკი 4, პანელინიოსი 4, ბოლონია 4

**G ჯგუფი**

კალევი (ესტონეთი) 67:80 კანარია (ესპანეთი)
პანიონიოსი (საბერძნეთი) 91:98 ასველი (საფრანგეთი)
ვროცლავი (პოლონეთი) 107:93 ლუდვიგსბურგი (გერმანია)
ასველი 5, კანარია 5, ვროცლავი 5, კალევი 5, პანიონიოსი 4, ლუდვიგსბურგი 3

**H ჯგუფი**

ბკ კიევი (უკრაინა) 91:55 პო ორტეზი (საფრანგეთი)
ბკ კიევი: მარკოიშვილი (26 წუთი, 27 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა)
არტლენდი (დიდი ბრიტანეთი) 73:71 ასკ (ლატვია)
ბენეტონი (იტალია) 89:82 აკადემიკი (ბულგარეთი)
ბკ კიევი 6, არტლენდი 5, აკადემიკი 4, ასკ 4, ბენეტონი 4, პო ორტეზი 4

**I ჯგუფი**

ტუროვი (პოლონეთი) 66:42 სტრასბური (საფრანგეთი)
ჰაპოელი (ისრაელი) 107:68 უნიქსი (რუსეთი)
ეიფელ თაუერსი (ჰოლანდია) 93:83 ზადარი (ხორვატია)
ჰაპოელი 5, ტუროვი 5, ეიფელ თაუერი 5, ზადარი 4, სტრასბური 4, უნიქსი 4

კალათბურთი

სკანდალი არა, მაგრამ ვნებათაღელვა კი გამოიწვია 4 ნოემბრის „ავიამშენ" — თსუ-ს მომსახურე მსაჯების დასჯამ. დავით არეშიძესა და მაკა კუპატაძეს კალათბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა 2-2 მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. ამ ამბავმა დასჯილთა უკმაყოფილება გამოიწვია და მათ, კონკრეტულად კი კუპატაძეს, ქომაგად სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელი, პარლამენტარი მურმან ქურიძე მოევლინა. ეს უკანასკნელი არა მარტო კუპატაძის დისკვალიფიკაციის გამოა აღელვებული, არამედ თვლის, რომ სასჯელი ფედერაციაში არაკომპეტენტურად გამოიტანეს. მართალია, მსაჯთა დასჯა ფედერაციაში შემავალი ქურაძეს დაქვემდებარებული კომიტეტის პრეროგატივა იყო, მაგრამ ისეთ შემთხვევებში, როცა ვერდიქტი იგვიანებს და საბოლოოდ არ სრულდება, ფედერაციის პრეზიდენტს სრული უფლება აქვს, მსაჯებს განაჩენი გამოუტანოს. გუშინწინ ქურიძემ გააკეთა განცხადება, გუშინ მაკა კუპატაძესაც მოვუსმინეთ, დღეს კი თავის პოზიციას ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელი როლანდ ხომერიკი აფიქსირებს...



# სწორად განვსაჯეთ, სწორად დავსაჯეთ

## ფედერაციაში მსაჯისაც გაუკვირდათ და მსაჯთა ასოციაციისაც

— მურმან ქურიძე ამბობს, რომ ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არალეგიტიმურია, რადგან მასში მონაწილეობა არ მიუღია მსაჯთა ასოციაციას. ეს ორგანიზაცია ფედერაციაში არ შედის და საერთოდ, არსებობს თუ არა, ესეც საკითხავია. მსაჯთა დასჯის პრეროგატივა ეკუთვნის ქურიძის იმ კომიტეტს, რომელიც ფედერაციის სტრუქტურის ნაწილია, მაგრამ როცა ამას დროულად არ გააკეებს, პრეზიდენტს აქვს განაჩენის გამოტანის უფლება და ასეც მოხდა.

**— მსაჯთა კომიტეტმა რატომ არ გამოიტანა გადაწყვეტილება?**

— ჩვენ არაერთხელ მივმართეთ ქურიძეს, რომ მსაჯთა კომიტეტს განეხილა ეს საკითხი, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზეც მოვიწვიეთ ორჯერ, მაგრამ ქურიძე არ მოსულა. ის ვალდებული იყო, დასწრებოდა ამ შეკრებას და მსაჯებთან დაკავშირებით გამოეთქვა თავისი პოზიცია. ჩვენ გასულ ხუთშაბათს მესამედაც მოვიწვიეთ ქურიძე. დაგვპირდა კიდეც, რომ მოვიდოდა, მაგრამ ისევ საქმე გამოუჩნდა და გამოუვალ სიტუაციაში ჩავვარდით. ტური კარზე იყო მომდგარი და დებულება გვავალდებულებდა, რომ მანამდე გაგვერკვია მსაჯთა საკითხი. ფედერაციის პრეზიდენტი იძულებული გახდა, მსაჯთა კომიტეტის გარეშე მიელო გადაწყვეტილება და ბესიკ ლიპარტელიანმა დავით არეშიძეს და მაკა კუპატაძეს 2-2 მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა.

**— კუპატაძე ცალკეა აღშფოთებული. ამბობს, დანაშაული ჩემს ზონაში არ მომხდარა და დისკვალიფიკაცია არ მეკუთვნოდაო...**

— მაკა ესწრებოდა სადისციპლინო სხდომას და თქვა, რომ პოზიცია ალბათ არასწორად შევარჩიე და ის ეპიზოდი კარგად ვერ დავინახეო. რაც შეეხება ჯარიმის ადგილს, წესები სწორედ მის ზონაში დაირღვა. კუპატაძე იდგა ფარქვეშ, არეშიძეს კი პერიმეტრს მიღმა ეკავა პოზიცია. ასეთი განლაგებისას მაკა წამყვან მსაჯად ითვლებოდა, ხოლო არეშიძე დამხმარედ...

ამ დროს ბატონმა როლანდმა ფიბა-ს მსაჯთა სახელმძღვანელო გადმოიღო და ის ნახაზი გვანახა, სადაც მსაჯთა ზონებია განაწილებული. სადაც წესები დაირღვა, ანუ საჯარიმო ხაზის შიგნითა, სამწამიანის მიმდებარე ტერიტორია, მართლაც ფარქვეშ მდგომი მსაჯის ზონაა. ხოლო „ავიამშენმა" თამაშის დასრულებამდე 9 წამით ადრე გადამწყვეტი შეტევა რომ წამოიწყო, კუპატაძე სწორედ ფარქვეშ იმყოფებოდა.

— შეცდომა ყველას მოსდის — განაგრძო ხომერიკმა შესაძლოა, მართლა ვერ შეარჩიო სწორი პოზიცია, მაგრამ როცა გადამწყვეტი მომენტია, სირენამდე 9 წამია და თითოეულ ქულას გამარჯვების ფასი აქვს, ასეთი რამე არ უნდა დაგემართოს.

**— მაშ ქურიძე რის საფუძველზე აცხადებს, რომ ის ჯარიმა კუპატაძის ზონაში არ მომხდარა და იგივეს ამბობს თავად მსაჯიც?!**

— არ ვიცი, რატომ გახდა ეს საკამათო. ორჯერ ორივითაა, რომ წესის დარღვევა კუპატაძის ზონაში მოხდა. როცა მაკა სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე მოვიდა, ზონებზე ლაპარაკი საერთოდ არ ყოფილა, რადგან ეს საკამათო არც იყო. კუპატაძემ თქვა, ადგილი ვერ შევარჩიეო და არა ის, ჩემს ზონაში არ მომხდარა წესის დარღვევაო. სხვათა შორის, იმ მატჩის კომისარი იყო ქურიძე, რომელიც ჩვენს კომპეტენციაზე ლაპარაკობს და ავიწყდება, რომ ორივე მსაჯს უმაღლესი შეფასება დაუწერა. არადა, თავად აცხადებს, არეშიძის მოქმედებამ, ჯარიმა რომ არ დააფიქსირა, მატჩის შედეგზე გავლენა მოახდინაო. ასეთ მსაჯს რომ ფრიადზე შეაფასებ, ვფიქრობ, ეს უფრო არაკომპეტენტურობის მანიშნებელი. ბატონ მურმანს დროულად რომ მოეხმო სამსაჯო კომიტეტის წევრებისთვის და მათთან ერთად შეეფასებინა მსაჯების მოქმედება, ამ ამბავს ასეთი ხმაური არ მოყვებოდა. თუმც რაც მოხდა, ყველაფერი წესდების ფარგლებში ჯდება და საპრეტენზიო არავის არ უნდა ჰქონდეს.

**ირაკლი პერტაია**

ძიუდო

# მამაძაღლებო!

## ავსტრიელებმა ვიოლინოში ძიუდო დაგვიქვითეს

**რას** იფიქრებდნენ ავსტრიაში სტრადივარიუსის ვიოლინოს მომზარავი ქართველი ბიჭები, თავიანთი ნამამძაღლარით ჩვენი ძიუდოისტების საქმეს თუ გააფუჭებდნენ?!

ძიუდოს უხემოსავლიანი სეზონი მომავალ უქმეებზე ჩვენს 23-წლამდელთა ნაკრებს უნდა დაეგვირგვინებინა. ბორია ფირცხელიანის შვიდივე შეგირდს რეალურად შეეძლო ზალცბურგის ტატამზე ევროპის ჩემპიონობისთვის ებრძოლა, მაგრამ უკვე გადაწყვეტილია, რომ ავსტრიულ ტურნირზე გასათამაშებელი ოცდარვა მედლიდან საქართველოში ერთიც არ წამოვა.

მიზეზი მარტივია, ფირცხელიანის გუნდი ევროპირველობაზე საერთოდ ვერ წავიდა. აღშფოთებული მწვრთნელის კომენტარი გუშინ შემოგთავაზეთ. გუშინვე დეტალებში უკეთ გასარკვევად საქართველოს ძიუდოს ფედერაციის აღმასრულებელ მდივან ზურაბ უსუფაშვილს მივმართეთ. სწორედ ის იყო სავიზო პრობლემების მოგვარებით დაკავებული.

**ზურაბ უსუფაშვილი:**

„საქართველოს 23-წლამდელთა ჩემპიონატი დასრულდა თუ არა, ნაკრების შემადგენლობა გაირკვა და ევროპირველობის ორგანიზატორებს წერილით ვაცნობეთ, მოწვევა გამოეგზავნათ. თადარიგი დროულად უნდა დაგვეჭირა, რადგან ავსტრიის ვიზებისთვის უკრაინაში გვჭირდებოდა ჩასვლა. ადრე ამ ქვეყნის ვიზებს გერმანიის საკონსულო იძლეოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ავსტრიაში ქართველთა ჯგუფი დააკავეს, სიტუაცია შეიცვალა. ამ სიახლეს თავიდანვე შეგუებულები ვიყავით და საბუთებით კიევში მდებარე ავსტრიის საკონსულოში ჩასვლას ვაპირებდით, მაგრამ მთავარი საბუთის — მოწვევის თბილისამდე ჩამოსვლას ვერაფრით ველირსეთ. საკონსულოდან გვითხრეს, რომ მოწვევა აუცილებლად ორიგინალი უნდა ყოფილიყო და ფაქსით გამოგზავნილს არ მიიღებდნენ. ხოლო მას შემდეგ, რაც ეს საბუთი ხელში გვექნებოდა, მთელი გუნდით კიევში უნდა ჩავსულიყავით. ამასთან, გარანტიასაც არ გვაძლევდნენ, რომ სავიზო პრობლემას სწრაფად მოგვიგვარებდნენ. დაახლოებით ათი დღე მთელი ნაკრები კიევში უნდა მჯდარიყო და დალოდებოდა ვიზებს, მაგრამ იმ ათ დღეშიც დადებითი პასუხი ან იქნებოდა ან არა. ორგანიზატორებმა გვითხრეს, ორიგინალი ექსპრეს-ფოსტით გამოვგზავნეთო და ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ავსტრიის საკონსულოს სახელზე ნოტა გაგვიმზადა, უკრაინაში ვიზებისთვის მხოლოდ ერთი კაცი რომ ჩასულიყო, მაგრამ ორიგინალი არა და არ ჩანდა. ავსტრიაში რომ დავრეკეთ, უხეშად გვიპასუხეს, გამოგზავნილი გვაქვს და თავი დაგვანებეთო. უაზრო ლოდინში დღეები გადიოდა. ორგანიზატორები კი უკვე ჩვენს სატელეფონო ზარებს აღარც პასუხობდნენ, იგნორირებას გვიკეთებდნენ და იძულებულები გავხდით, საქმეში ევროპის ძიუდოს კავშირი ჩაგვერია. ამის შემდეგ ავსტრიელებმა შეგვატყობინეს, მოწვევა პირდაპირ უკრაინაში გავაგზავნეთ, იქაურ ფედერაციაშიო. ვიფიქრეთ, ესაა გვეშველა, მაგრამ უკრაინელმა კოლეგებმა გვითხრეს, ჩვენთან მხოლოდ ჩვენი მოწვევა ჩამოვიდაო. მერე კიდევ ორჯერ გაქრა თბილისში გამოგზავნილი ორიგინალი. ავსტრიელების წერილის ძებნაში ყველა ფოსტა მოვიარეთ, მაგრამ ამაოდ. როგორ უნდა დავიჯეროთ მათი სიმართლე? რამდენიმე დღის წინ ავსტრიის ძიუდოს ფედერაციამ გვითხრა, საკონსულოსთან უკვე მოვილაპარაკეთ და ფაქსით გამოგზავნილი მოწვევითაც მოგცემენ ვიზებსო. საკონსულოში კი მოლაპარაკება არ დაგვიდასტურეს.

ევროპის ძიუდოს კავშირის შეფებთან ხშირი ურთიერთობა გვაქვს. აღშფოთებულნი არიან, მაგრამ ვერაფრით გვეხმარებიან. გასაჩივრებასაც აზრი არ აქვს, რადგან ვერაფრით დავამტკიცებთ, რომ ორგანიზატორები იტყუებიან. ფოსტას გადააბრალებენ, არადა, აშკარად არაა ფოსტის ბრალი. ქართველ ძიუდოისტებს მსოფლიო გვაქვს შემოვლილი. არასოდეს არავისთან პრობლემა არ გვქონია. როგორც ჩანს, ავსტრიელებს ჩვენი ტურნირში მონაწილეობა არ სურდათ".

პრობლემის მოგვარებაზე უკრაინაში საქართველოს კონსული თემურ ნიშნიანიძეც მუშაობდა. გუშინ მასთან დაკავშირება ვერაფრით მოვახერხეთ. ის კი შევიტყვეთ, რომ იქაურ ავსტრიის საკონსულოსთან ათდღიანი ლოდინის შემდეგ 39-კაციან ქართველ მოცეკვავეთა დელეგაციას ვიზებზე უარი უთხრეს.

სტრადივარიუსის ვიოლინოს მომპარავი ქართველების სასამართლო ავსტრიაში უკვე დაწყებულია. მათ ნაქურდალი კარგა ხანია, ჩამოართვეს. ერთადერთი, რაც შერჩებათ და რისთვისაც არ გაასამართლებენ, ქართველი ძიუდოისტებისთვის მოპარული ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებია.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ჭიდაობა



ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებს დავით ბედინაძეს და რამაზ ნოზაძეს წლეულს ბრწყინვალე სეზონი ჰქონდათ. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ორივე იმ ათეულში შეიყვანა, რომლიდანაც 1 დეკემბერს 2007 წლის მსოფლიოს საუკეთესო მოჭიდავე უნდა აირჩეს.

საუკეთესო გულშემატკივართა ხმებით გამოვლინდება. ბედინაძემ და ნოზაძემ თავიანთი საქმე უკვე გააკეთეს. ახლა ჩვენი ჯერია.

www.allsport.ru
www.wrestrus.ru



### მიმდინარე შედეგები

| | |
|---|---|
| ალექსეი მიშინი (რუსეთი) | 3159 (35,2%) |
| ფარიდ მანსუროვი (აზერბაიჯანი) | 3135 (34,9%) |
| სორიან რეიჰანპური (ირანი) | 1556 (17,3%) |
| ხასან ბაროევი (რუსეთი) | 676 (7,5%) |
| რამაზ ნოზაძე (საქართველო) | 184 (2,0%) |
| მიგელ ლოპესი (კუბა) | 96 (1,1%) |
| დავით ბედინაძე (საქართველო) | 72 (0,8%) |
| იავორ იანაკიევი (ბულგარეთი) | 60 (0,7%) |
| ნიკოლაი გერგოვი (ბულგარეთი) | 37 (0,4%) |
| იან ჩოი პარკი (სამხ. კორეა) | 9 (0,1%) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სროლა

# გაარტყი ათიანში და უცხოეთშიც წახვალ

**დასრულდა** საქართველოს თასის გათამაშება 10 მეტრიდან პნევმატური პისტოლეტით სროლაში. გუშინ საპრიზო ადგილები კაცებმა გაინაწილეს. საუკეთესო შედეგი 18 წლის ბექა გოგინაშვილმა აჩვენა (566 ქულა), ვერცხლის მედალი ქუთაისელმა გია სვანიძემ დაისაკუთრა (562), ბრინჯაოსანი კი დათო ახვლედიანი გახდა (558). პირველ სამეულს ქალებშიც და კაცებშიც თასი და მედლები გადაეცათ. ფულადი ჯილდოთი კი ისინი დასაჩუქრდნენ, ვინც წინასწარ დაწესებული ცენზის მაჩვენებელს უწია. კაცებში ზღვარი — 570 ქულა იყო, ქალებში კი 560 გახლდათ.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულ ცენზს მხოლოდ ნინო სალუქვაძემ უწია, რაც იმის წინაპირობაა, რომ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა სხვებს ძალიან გაუჭირდებათ. სალუქვაძის თქმით, ვინც ნორმატივებს ვერ დააკმაყოფილებს, ის საზღვარგარეთ გამართულ შეჯიბრებაზე ვერ წავა. მსროლელებს სიტუაციის გამოსასწორებლად ერთი შანსი რჩებათ, 19-22 დეკემბერს თბილისის ტურნირი ელით.

**ლევან მაისურაძე**

კრივი



# კლიჩკოს ოცნება: თებერვლის სულთანი

**პროფესიული** კრივის ყველაზე პრესტიჟულ, ზემძიმე წონაში ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლა 2004 წლის შემდეგ არ ყოფილა — ბოლოს ქამრების გაერთიანება ლენოქს ლუისმა შეძლო. ბრიტანელის კრივიდან წასვლის შემდეგ კი ასეთი რამ აღარავის გაუკეთებია. და ეს მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მძიმეწონოსანს სხვა ვერსიით ჩემპიონთან დაპირისპირებისთვის მზადყოფნა არაერთხელ გამოუთქვამს.

ასეთ მოკრივეთა რიცხვში შედის ვლადიმირ კლიჩკოც, რომელსაც ბევრჯერ აღუნიშნავს, ქამრების გაერთიანება ჩემი დიდი ხნის ოცნებააო. უკრაინელი განსაკუთრებით ბოლო წლებია, რაც აქტიურობს და ხან სერგეი ლიახოვიჩს იწვევდა რინგზე, ხან სერგეი მასკაევს და ხანაც სულტან იბრაგიმოვს. თუმც აქამდე კლიჩკოს გამოწვევას არავინ იღებდა, ლიახოვიჩმა და მასკაევმა კი თავიანთი ტიტულები სულაც დაკარგეს.

ჰოდა, ბოლოს და ბოლოს უმცროს კლიჩკოს, რომელიც IBF-ის ქამარს ფლობს, ოცნება აუხდა — მასთან ბრძოლაზე თანხმობა იბრაგიმოვმა განაცხადა.

რუსი დღესდღეობით WBO-ს ვერსიითაა ჩემპიონი — მან ეს ტიტული ივნისში შენონ ბრიგს ჩამოართვა და შემდეგ წარმატებითაც დაიცვა ევანდერ ჰოლიფილდთან.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, მოკრივეთა წარმომადგენლები რამდენიმე კვირა უსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას და ორიოდ დღის წინ ხელი ხელსაც დაარტყეს — ბრძოლა 23 თებერვალს ნიუ იორკის ლეგენდარულ „მედისონ სქვერ გარდენში“ გაიმართება.

მომავალ ბრძოლაზე თავისი პირველ შთაბეჭდილებებზე მოკრივეებმაც ისაუბრეს. იბრაგიმოვი პირდაპირ აცხადებს, რომ მხოლოდ მოსაგებად ემზადება:

„ბევრის აზრით, ვლადიმირი დღეისთვის მსოფლიოს უძლიერესი მძიმეწონოსანია. მე კი შემდეგი პრინციპით ვხელმძღვანელობ — საკუთარი ძალა მხოლოდ უძლიერესებთან და საუკეთესოებთან უნდა დაამტკიცო. ჰოდა, ახლა ამის მშვენიერი საშუალება მექნება. იმედი მაქვს, სხვა ქამრებისთვის ბრძოლასაც მოვახერხებ“.

კლიჩკო კი ჩვეულად მოერიდა ზედმეტ ენაჭარტალს და პროგნოზების გამოთქმას, უბრალოდ, აღნიშნა, რომ რთულ ჯახს ელის:

„ყველამ კარგად იცის, რომ ტიტულების გამაერთიანებელ ბრძოლას დიდი ხანია, ველი. ამიტომ მინდა, მადლობა გადავუხადო იბრაგიმოვს, ჩემთან ორთაბრძოლაზე უარი რომ არ თქვა. ასეთ ჯახს მაყურებელიც მოუთმენლად ელოდა და მწამს, იმედს არ გავუცრუებთ. სულტანი მშვენიერი მოკრივეა. მან თავისი ძალა ბრიგსთან და ჰოლიფილდთან ჯახებში დაამტკიცა. ამიტომ ჩემი მხრიდან მეტოქის დაუფასებლობაზე საუბარი სისულელე იქნებოდა“.

**კახა ლომჯარიძე**

ჩოგბურთი



სწორდი, სმენა! პატრიკ მაკენროომ (მარჯვნივ) ჯეიმს ბლეიკი, ძმები ბრაიანები და ენდი როდიკი სარუსეთოდ გაამზადა

# უარი საფინს

## ამერიკა და რუსეთი სადევისთასოდ დაიქოქნენ

**მომავალ** უქმეებზე პორტლენდში დევისის თასის ფინალი გაიმართება, რომეშიც ამერიკელები მოქმედ ჩემპიონ რუსებს უმასპინძლებენ. გუშინ ნაკრებების კაპიტნებმა შემადგენლობები დაასახელეს და თუ იანკებს სიურპრიზი არ შემოუთავაზებიათ, სლავებმა მოულოდნელად უარი თქვეს მარატ საფინის დახმარებაზე. არადა, ეს კაცი ბოლო წლებში რუსეთის ნაკრების უდავო ლიდერი გახლდათ და მისი დიდი დამსახურებაცაა, ამ პერიოდში დევისის თასი ორჯერ რომ მოიგეს — შარშანდელ ფინალში არგენტინელებთან კი საფინმა სულაც გამარჯვების მომტანი ქულა აიღო.

წლეულს მარატმა ძალიან უხეიროდ იჩოგნავა — მართალია, აქაიქ ძველებური მძლავრი თამაში აჩვენა, მაგრამ სეზონის დიდი ნაწილი მაინც არასტაბილური იყო. ჰოდა, სწორედ ამის გამო თქვა უარი მის სამსახურზე რუსთა კაპიტანმა შამილ ტარპიშჩევმა, რომელმაც იმ მეჩოგნეებზე გააკეთა აქცენტი, რომლებმაც ორიოდ თვის წინ ფინალის საგზური გაინაღდეს გერმანელებთან ჯახში. მოკლედ, ტიტულის შენარჩუნებისთვის ნიკოლაი დავიდენკო, მიხაილ იუჟნი, დმიტრი ტურსუნოვი და იგორ ანდრეევი იბრძოლებენ.

აი, ამერიკელთა კაპიტან პატრიკ მაკინროის კი ამდენი საფიქრალი სულაც არ ჰქონია — კარგა ხანია, იანკებს სტაბილური შემადგენლობა ჰყავთ ენდი როდიკის, ჯეიმს ბლეიკის და ტყუპი ძმების მაიკ და ბობ ბრაიანების სახით.

ამერიკელებს, რომლებსაც ყველაზე მეტი — 31 დევისის თასი აქვთ მოგებული, მოტივაცია არ აკლიათ. ჯერ ერთი, იანკებს ეს საპატიო ჯილდო აგერ, უკვე თერთმეტი წელია, არ მოუგიათ. სხვათა შორის, ბოლო დევისის თასი მათ სწორედ რუსეთში მოიპოვეს, როდესაც პიტ სამპრასის თავკაცობით მასპინძლები დიდი წვალებით გატეხეს.

და მეორე — ეს ნაკრებები ბოლოს ერთმანეთს ერთი წლის წინ, ნახევრფინალში შეხვდნენ. ის ჯახი მოსკოვში გაიმართა და მაშინ სლავებმა მხოლოდ გადამწყვეტ მატჩში გამოჰგლიჯეს იანკებს გამარჯვება, როცა საფინმა მეხუთე სეტში 17:15 მოუგო როდიკს.

ჰოდა, როდიკიც ახლა გამაღებით ემზადება ფინალისთვის. ენდიბოიმ მასტერსის თასზე მხარი კი დაიზიანა, მაგრამ გულშემატკივრებს დაჰპირდა, ეს მთელი ძალით თამაშში ოდნავადაც არ შემიშლის ხელსო. ბლეიკმა კი პირდაპირ განაცხადა, რუსებს გავანადგურებთო.

ნაკლებად ყოყლოჩინობენ რუსთა ბანაკში, სადაც გაცილებით საქმიანი განწყობა სუფევს. სლავები მეტოქეს უფრთხიან და აღიარებენ, რომ იანკები ფინალის უეჭველი ფავორიტები არიან:

„ისინი ხომ სახლში თამაშობენ. ეს კი დიდი უპირატესობაა — მაგრად გაგვიჭირდება, თუმც წინასწარ დანებებას არ ვაპირებთ“ — განაცხადა რუსთა მთავარმა იმედმა ნიკოლაი დავიდენკომ.

**კახა ლომჯარიძე**

# ქართველები და ესპანელები

**ბარსელონაში** ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქალთა და კაცთა 10-ათასიანი ტურნირები გრძელდება. ქალთა შეჯიბრის ძირითად ბადეში ორი ქართველი იყო — მანანა შაფაქიძე და კვალიფიკაციიდან წამოსული სოფო ქვაცაბაია. სამწუხაროდ, ქვაცაბაიამ მეტი ველარ შეძლო და პირველ წრეში 2:6 5:7 წააგო ასევე კვალიფიკანტ ესპანელთან, 27 წლისა და რეიტინგში 907-ე პოზიციაზე მყოფ ფრანჩესკა სინტესმარტინთან.

შაფაქიძის პირველი მეტოქეც კვალიფიკაციაგამოვლილი მასპინძელი, 18 წლისა და ურეიტინგო ანა ბოადა-პლადე-ლორენსი იყო და ქართველმა 6:3 6:2 იმარჯვა. მეორე წრეში მანანას კიდევ ერთი ესპანელი, 17 წლის სანდრა სოლერ-სოლა დაუპირისპირდება, ვისაც WTA-ს კლასიფიკაციაში 597-ე ადგილი უკავია.

კაცთა ტურნირში ნოდარ ითონაშვილი თამაშობს, ვინაც ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გავლით შეაღწია. საკვალიფიკაციო ეტაპზე ნოდარმა ჯერ ესპანელ სერხიო ბარბერანს მოუგო 6:3 6:4, შემდეგ ამავე ანგარიშით ჰოლანდიელი მარკ ვერვოორტი დაამარცხა და ბოლოს კი ესპანელ დავიდ ოლივერ-ბაკეროს 6:3 1:6 6:4 სძლია.

ძირითადი ტურნირის პირველ წრეში ითონიშვილმა სამ სეტში — 6:2 4:6 6:0 აჯობა რეიტინგში 1197-ე ადგილზე მყოფ ესპანელ ინიგო სერვანტეს-პუიოლს და კიდევ ერთ მასპინძელზე, 34 წლის ვეტერან ხუან ალბერტ ვილოსაზე გავიდა, ვინც მიმდინარე კლასიფიკაციაში 425-ეა, მაგრამ ამ ათი წლის წინ, 1997 წელს პირველი ორმოცდაათეულის წევრი იყო და 47-ე პოზიციაზე იმყოფებოდა.



მანანა შაფაქიძე

ველორბოლა


დანილო დი ლუკა

# ახალი შვეიცარიული ძველი იტალიელებით

**2006 წელს,** როდესაც „ტურ დე ფრანსის“ მოგების შემდეგ ამერიკელი ფლოიდ ლენდისი დოპინგის მიღებაში ამხილეს და ტიტული ჩამოართვეს, ლენდისის შვეიცარიული გუნდი „ფონაკი“ დაიშალა — ამიჯშელახულ ველოგუნდზე სპონსორებმაც ხელი აიღეს და, თავად გუნდის თავკაცებმაც აღარ ინდომეს დიდ ველოსპორტში დარჩენა.

არადა, „ფონაკი“ ერთადერთი შვეიცარიული ველოგუნდი იყო და უმდიდრესი ველოტრადიციების მქონე ქვეყანა უგუნდოდ დიდხანს რომ ვერ გაძლებდა, ნათელი იყო. ასეც მოხდა — შვეიცარიაში ახალი ველოგუნდი, LPR შეიქმნა და ისეთი პირი უჩანს, ეს გუნდი, უკვე მომავალ სეზონში ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

შვეიცარიელებმა უკვე გადაიბირეს ორი სახელოვანი იტალიელი მრბოლი — 2002 და 2005 წლებში „ჯირო დი იტალიას“ ორგზის მომგები პაოლო სავოლდელი და „ჯიროს“ წლევანდელი ტრიუმფატორი დანილო დი ლუკა.

34 წლის სავოლდელი წლეულს ყაზახური „ასტანას“ ღირსებას იცავდა, მანამდე კი, 1996 წლიდან მოყოლებული, იტალიურ „საეკოში“, გერმანულ „ტელეკომსა“ და ამერიკულ „დისქავერში“ ირიცხებოდა. უკვე ვეტერან სავოლდელის შვეიცარიულ გუნდში, სავარაუდოდ, ლიდერის უმთავრეს თანაშემწედ დაასაქმებენ, ხოლო ლიდერი, ალაბთ, 31 წლის დი ლუკა იქნება, ვინც ამჟამად კარიერის პიკზე იმყოფება.

წლეულს დი ლუკას „ჯიროს“ გარდა, ფაქტობრივად, „პრო-ტურის“ სერიაც მოგებული ჰქონდა, მაგრამ ოქტომბერში იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა მავან სკანდალურად ცნობილ ექიმთან კავშირის გამო სამთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა და ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის მამებსაც, აქაოდა, დოპინგთან კავშირი არ ჰქონდესო, დანილო „პრო-ტურის“ რეიტინგიდან წაშალეს.

დი ლუკას დისკვალიფიკაციის ვადა იანვრის პირველ რიცხვებში გასდის და მომავალ სეზონში ის იტალიური „ლიქუიგასის“ კი არა, შვეიცარიული LPR-ის მრბოლი იქნება.


პაოლო სავოლდელი

ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

20 ნოემბერი

**რეინჯერსი 3:1 ტამპა**
*1:0 0:1 2:0*

**ტორონტო 2:4 ბოსტონი**
*1:0 1:1 0:3*
1:0 მაკეიბი (16), 2:0 სუნდინი (36), 2:1 კესელი (40), 2:2 აქსელსონი (50), 2:3 კობასიუ (57), 2:4 კობასიუ (60)

**ედმონტონი 5:4 ვანკუვერი**
*3:1 0:2 1:1 0:0 (1:0 ბულიტებით)*
1:0 ჯილბერტი (3), 2:0 როზონერი (15), 2:1 ბაროუზი (19), 3:1 პორკოფი (20), 3:2 იზბისტერი (21), 3:3 ედლერი (36), 3:4 ნესლუნდი (48), 4:4 პენერი (49)

**კალგარი 4:1 კოლორადო**
*0:0 2:1 2:0*
0:1 სვატოში (22), 1:1 ნოლანი (23), 2:1 იგინლა (30), 3:1 მოსი (56), 4:1 ნოლანი (60)

ავტორბოლა

# ბებერი ხუანი საუკეთესო ახალბედა

**კოლუმბიელი** ექსმეფორმულე ხუან-პაბლო მონტოია შარშან შუა სეზონში „მაკლარენიდან“ წასვლის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე პოპულარულ „ნასკარის“ სარბოლო ავტოსერიაში გადაბარგდა.



„კოლუმბიური ქარიშხალი“, რომელიც ამერიკული „კარტის“ ჩემპიონატიდან „სამეფო რბოლებში“ საჯირითოდ 2001 წელს გამოიწვია სერ ფრენკ უილიამსმა (მაშინ ხუანი „უილიამსის“ მეტესტედ ითვლებოდა), იმხანად მოპარპაშე მიხაელ შუმახერის კონკურენტად მოიაზრებოდა. მაგრამ მონტიმ, სერ ფრენკისა და ზოგადად, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პროტეჟემ — აშკარად ვერ გაამართლა, ფორმულა 1-ში ხუთ სრულ სეზონში ოდენ შვიდი დიდი პრიზი მოიგო და გენერალურ კლასიფიკაციაში ორჯერ მესამე ადგილი დაიკავა.

მონტოიამ წლეულს „ნასკარის“ 36-ეტაპიან მარათონულ ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა, ერთი რბოლა მოიგო — სონომაში (კალიფორნია), დასკვნითი გაჯიბრება მაიამის 400-მილიან დისტანციაზე კი მხოლოდ მე-15 პოზიციაზე დაასრულა. და მიუხედავად იმისა, რომ 32 წლის კოლუმბიელი გენერალურ კლასიფიკაციაში მხოლოდ მე-20 ადგილზე აღმოჩნდა, სწორედ ის დაასახელეს „წლის საუკეთესო ახალბედად“.

**გია ახალაძე**

ჭადრაკი

# ახლა ბლიცის დროა

**მოსკოვში** მიხაილ ტალის სახელობის ტურნირი დასრულდა და ბლიცში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. თავიდან შესარჩევი მატჩები გაიმართა, სადაც ყველას უზბეკმა რუსტამ კასიმჯანოვმა აჯობა და პირველი ადგილი დაიკავა. მან 22 პარტია ჩაატარა და 15 ქულა აიღო. შესარჩევში ასევე იყოჩალეს ფრანგმა ეტიენ ბაკრომ, ინგლისელმა მაიკლ ადამსმა, უკრაინელმა რუსლან პონომარიოვმა და რუსებმა — ბორის სავჩენკომ, ალექსანდრ დრეევმა და სერგეი რუბლევსკიმ.

ამას გარდა, ჩემპიონატზე პერსონალური მიწვევით ითამაშებენ: ინდოელი ვიშვანათან ანანდი, უკრაინელი ვასილ ივანჩუკი, უნგრელი პეტერ ლეკო, აზერბაიჯანელი შაჰრიარ მამედიაროვი, ესპანელი ალექსეი შიროვი, ებრაელი ბორის გელფანდი, ამერიკელი გატა კამსკი, ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი, რუსი ვლადიმირ კრამნიკი და მისი ოთხი თანამემამულე — ანატოლი კარპოვი, პიოტრ სვიდლერი, ალექსანდრ მოროზევიჩი და ალექსანდრ გრიშჩუკი.

ტურნირის ფავორიტი ფიდეს პირველი ნომერი და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ანანდია. შარშან ინდუსმა ვერ იყოჩაღა, ბლიცში პირველობა გრიშჩუკს დაუთმო და ახლა რევანში სწყურია.

საუცხოო ფორმაშია კრამნიკიც. მან ახლახანს ტალის სახელობის ტურნირი მოიგო და თუ რუსებს დავუჯერებთ, ფიდეს რეიტინგში თვით ანანდსაც გადაასწრო.

**ლუკა გეგეჭკორი**

ციგურაობა

# კიდევ ორი რეკორდი

**მოციგურავეთა** 2007-08 წლების სეზონი რეკორდების ცვენით დაიწყო. მსოფლიოს თასის პირველ ეტაპზე, რომელიც 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქში, ამერიკული სოლტ ლეიკ სიტის ყინულზე ჩატარდა, ერთბაშად სამი ახალი რეკორდი დამყარდა — კაცებმა ძველი მიღწევები 500, 1000 და 5000 მეტრიან დისტანციებზე გააუმჯობესეს.




5 კილომეტრზე იტალიელი ოლიმპიური ჩემპიონის, ენრიკო ფაბრისის ახალმა რეკორდმა ოდენ ერთი კვირა გაძლო — 1988 წლის ოლიმპიადისთვის აგებულ კანადური კალგარის ოვალზე მსოფლიოს თასის მეორე ეტაპი გაიმართა და ძველმა რეკორდსმენმა, ჰოლანდიელმა სვენ კრამერმა უკან დაიბრუნა რეკორდი — 5 კილომეტრი 6 წუთსა და 3,32 წამში გაისრიალა და ფაბრისის მიღწევას, ერთბაშად 4,08 წამი ჩამოაკლო.

აღსანიშნავია, რომ სოლტ ლეიკ სიტიში ნაჩვენები დრო თავად ფაბრისმაც გააუმჯობესა და 6.06,42 შედეგით მეორე ადგილი დაიკავა.

ახალ სეზონში პირველი მსოფლიოს რეკორდი დაამყარეს ქალებმაც. ეს გერმანელმა ჯენი ვოლფმა შეძლო, რომელმაც 500 მეტრი 37,02 წამში გალია და თავისივე ძველ მიღწევას წამის ორი მეასედი ჩამოაკლო.

აქვე კალგარის ეტაპის სხვა გამარჯვებულებსაც გაგაცნობთ: კაცებში 500 მეტრი 34,23 წამით კანადელმა უოტერსპუნმა მოიგო, 1000 მეტრზე 1.07,25 შედეგით ასევე კანადელი მორისონი იყო საუკეთესო, 1 500 მეტრი ჰოლანდიელ კუიპერსს (1.42,37) დარჩა, ხოლო გუნდურ გამოდევნებაში პირველი ადგილი კანადელებმა დაიკავეს; ქალებში 1.13,49 წამით გერმანელმა ფრიზინგერმა 1000 მეტრზე იპირველა, 1500 მეტრი კანადელმა ნესბიტმა 1.52,75 შედეგით მოიგო და გუნდურ გამოდევნებაში კი ყველას გერმანელებმა აჯობეს.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

2007 წლის 21 დეკემბერს გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ, 20 დეკემბრამდე გაიაროთ წინასწარი რეგისტრაცია. სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციაში გაწევრიანების მსურველებს ვთხოვთ, ასევე 20 დეკემბრამდე წარმოადგინონ შესაბამისი საბუთები.

ველით თქვენს წინადადებებს კონფერენციის დღის წესრიგთან დაკავშირებით. წესდების შესაბამისად, ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებში ასარჩევად კანდიდატურები შეგიძლიათ წარმოადგინოთ 6 დეკემბრამდე.

თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 49 ა. ტელეფონი: 42 12 88, 23 26 34. მობ. 877 48 88 44.

**სსჟა-ს აღმასკომი**

## ავსტრია, შვეიცარია, პოლონეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, თურქეთი, ჩეხეთი, გერმანია, ხორვატია, რუსეთი, ესპანეთი, შვედეთი, რუმინეთი, ჰოლანდია

# ხომ არ იცით, სად არის ფეხბურთის სამშობლო?!


AFP

ერთი მატჩიც და, ევროპის ჩემპიონატის ეს შესარჩევი ციკლი დასრულდება. სერბებს და ყაზახებს, შეგახსენებთ, წინა შაბათს თამაში დიდთოვლობის გამო გადაედოთ. მაგრამ ეს ნაკლებმნიშვნელოვანი ამბავია, რაკი პრაქტიკული სარგებელი ამ მატჩის შედეგს აღარ აქვს.

მთავარი ამბავი კი, რა მტკიცება უნდა, „უემბლიზე" დატრიალდა.

შაბათს ებრაელებმა სასწაული რომ მოახდინეს და ინგლისს უდიდესი სამსახური გაუწიეს, გუშინ სასწაულის მოლოდინში რუსები იყვნენ — მათთვის ისრაელობა ხორვატებს უნდა გაეწიათ.

მერე რა მოხდა? თქვენს მტერს, ინგლისს რაც შეემთხვა...

არა, როგორი საქმეა, ორი ბურთით რომ ჩამორჩები, ორივეს გაქვითავ და შვებით რომ ამოისუნთქავ, სწორედ მაშინ...


ასე აღნიშნეს უკრაინელებმა პირველი გოლი ფრანგთა კარში
AFP

## ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### A ჯგუფი

**სომხეთი 0:1 ყაზახეთი**
0:1 ოსტაპენკო (64)

**აზერბაიჯანი 0:1 ბელგია**
0:1 პიეროնი (53)

**პორტუგალია 0:0 ფინეთი**

**სერბეთი 2:2 პოლონეთი**
0:1 მურავსკი (28), 0:2 მატუშიაკი (47), 1:2 ჟიგიჩი (69), 2:2 ლაზოვიჩი (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 14 | 8 | 4 | 2 | 24:12 | 28 |
| პორტუგალია | 14 | 7 | 6 | 1 | 24:10 | 27 |
| ფინეთი | 14 | 6 | 6 | 2 | 13:7 | 24 |
| სერბეთი | 13 | 5 | 6 | 2 | 21:11 | 21 |
| ბელგია | 14 | 5 | 3 | 6 | 14:16 | 18 |
| ყაზახეთი | 13 | 2 | 4 | 7 | 11:20 | 10 |
| სომხეთი | 12 | 2 | 3 | 7 | 4:13 | 9 |
| აზერბაიჯანი | 12 | 1 | 2 | 9 | 6:28 | 5 |

### B ჯგუფი

**იტალია 3:1 ფარერები**
1:0 ბენჯამინსონი (11ს.კ.) 2:0 ტონი (35), 3:0 კიელინი (41), 3:1 იაკობსენი (83)

**უკრაინა 2:2 საფრანგეთი**
1:0 ვორონინი (13), 1:1 ანრი (20), 1:2 გოვუ (34), 2:2 შევჩენკო (46)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 12 | 9 | 2 | 1 | 22:9 | 29 |
| საფრანგეთი | 12 | 8 | 2 | 2 | 25:5 | 26 |
| შოტლანდია | 12 | 8 | 2 | 4 | 21:12 | 24 |
| უკრაინა | 12 | 5 | 2 | 5 | 18:16 | 17 |
| ლიტვა | 12 | 5 | 1 | 6 | 11:13 | 16 |
| საქართველო | 12 | 3 | 1 | 8 | 16:19 | 10 |
| ფარერები | 12 | 0 | 0 | 12 | 4:43 | 0 |

### C ჯგუფი

**მალტა 1:4 ნორვეგია**
0:1, 0:2, 0:3 ივერსენი (25, 28პ, 45), 1:3 მიფსუდი (53), 1:4 პედერსენი (75)

**თურქეთი 1:0 ბოსნია**
1:0 ნიჰათი (43)

**უნგრეთი 1:2 საბერძნეთი**
1:0 ბუჟაკი (7), 1:1 ვანჟაკი (22ს.კ.) 1:2 ბასინასი (59პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 12 | 10 | 1 | 1 | 25:10 | 31 |
| თურქეთი | 12 | 7 | 3 | 2 | 25:11 | 24 |
| ნორვეგია | 12 | 7 | 2 | 3 | 27:11 | 23 |
| ბოსნია | 12 | 4 | 1 | 7 | 16:22 | 13 |
| მოლდოვა | 12 | 3 | 3 | 6 | 12:19 | 12 |
| უნგრეთი | 12 | 4 | 0 | 8 | 11:22 | 12 |
| მალტა | 12 | 1 | 2 | 9 | 10:31 | 5 |

### D ჯგუფი

**კვიპროსი 0:2 ჩეხეთი**
0:1 პუდილი (11), 0:2 კოლერი (74)

**გერმანია 0:0 უელსი**

**სან მარინო 0:5 სლოვაკეთი**
0:1 მიხალიკი (42), 0:2 ჰოლოშკო (51), 0:3 ჰამშიკი (53), 0:4, 0:5 ჩეხი (57, 83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 12 | 9 | 2 | 1 | 27:5 | 29 |
| გერმანია | 12 | 8 | 3 | 1 | 35:7 | 27 |
| ირლანდია | 12 | 4 | 5 | 3 | 17:14 | 17 |
| სლოვაკეთი | 12 | 5 | 1 | 6 | 33:23 | 16 |
| უელსი | 12 | 4 | 3 | 5 | 18:19 | 15 |
| კვიპროსი | 12 | 4 | 2 | 6 | 17:24 | 14 |
| სან მარინო | 12 | 0 | 0 | 12 | 2:57 | 0 |

### E ჯგუფი

**ისრაელი 1:0 მაკედონია**
1:0 ბარდა (35)

**ანდორა 0:1 რუსეთი**
0:1 სიჩოვი (39)

**ინგლისი 2:3 ხორვატია**
0:1 კრანჩარი (9), 0:2 ოლიჩი (14), 1:2 ლამპარდი (56პ), 2:2 კრაუჩი (64), 2:3 პეტრიჩი (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 12 | 9 | 2 | 1 | 28:8 | 29 |
| რუსეთი | 12 | 7 | 3 | 2 | 18:7 | 24 |
| ინგლისი | 12 | 7 | 2 | 3 | 24:7 | 23 |
| ისრაელი | 12 | 7 | 2 | 3 | 20:12 | 23 |
| მაკედონია | 12 | 4 | 2 | 6 | 12:12 | 14 |
| ესტონეთი | 12 | 2 | 1 | 9 | 5:21 | 7 |
| ანდორა | 12 | 0 | 0 | 12 | 2:42 | 0 |

### F ჯგუფი

**დანია 3:0 ისლანდია**
1:0 ბენდტნერი (35), 2:0 ტომასონი (44), 3:0 კალენბერგი (59)

**ესპანეთი 1:0 ჩრდ. ირლანდია**
1:0 ხავი (52)

**შვედეთი 2:1 ლატვია**
1:0 ალბაკი (1), 1:1 ლაიზანსი (26), 2:1 კოლსტრიომი (57)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 12 | 9 | 1 | 2 | 23:8 | 28 |
| შვედეთი | 12 | 8 | 2 | 2 | 23:9 | 26 |
| ჩრდ. ირლანდია | 12 | 6 | 2 | 4 | 17:14 | 20 |
| დანია | 12 | 6 | 2 | 4 | 21:11 | 20 |
| ლატვია | 12 | 4 | 0 | 8 | 15:17 | 12 |
| ისლანდია | 12 | 2 | 2 | 8 | 10:27 | 8 |
| ლიხტენშტაინი | 12 | 2 | 1 | 9 | 9:32 | 7 |

### G ჯგუფი

**რუმინეთი 6:1 ალბანეთი**
1:0 დიკა (22), 2:0 ტამაში (53), 3:0 ნიკულაე (64), 3:1 კაპლანი (65), 4:1 ნიკულაე (66), 5:1 მარიკა (71პ), 6:1 დიკა (73პ)

**ბელარუსი 2:1 ჰოლანდია**
1:0 ბულიგა (49), 2:0 კორიტკო (65), 2:1 ვან დერ ვაარტი (89)

**სლოვენია 0:2 ბულგარეთი**
0:1 გეორგიევი (81), 0:2 ბერბატოვი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 12 | 9 | 2 | 1 | 26:7 | 29 |
| ჰოლანდია | 12 | 8 | 2 | 2 | 15:5 | 26 |
| ბულგარეთი | 12 | 7 | 4 | 1 | 18:7 | 25 |
| ბელარუსი | 12 | 4 | 1 | 7 | 17:23 | 13 |
| ალბანეთი | 12 | 2 | 5 | 5 | 12:18 | 11 |
| სლოვენია | 12 | 3 | 2 | 7 | 9:16 | 11 |
| ლუქსემბურგი | 12 | 1 | 0 | 11 | 2:23 | 3 |



ანდრეას ისაქსონის კარში
AFP

## ამხანაგური მატჩები

უზბეკეთი 0:0 ესტონეთი
საამიროები 0:5 ტოგო
ყატარი 1:6 კოტ დივუარი
განა 4:2 ბენინი
მაროკო 3:0 სენეგალი
ავსტრია 0:0 ტუნისი
თურქეთი (U-21) 3:0 შვედეთი (U-21)

## იტალია

სერია C1/B
გადადებული მატჩი
პოტენცა 1:0 მარტინა

## 2008 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატი შესარჩევი ეტაპი

### I ჯგუფი

აზერბაიჯანი 0:1 ხორვატია
ფარერები 0:1 იტალია
საბერძნეთი 2:1 ალბანეთი

### II ჯგუფი

უკრაინა 0:2 ჩეხეთი

### VI ჯგუფი

ფინეთი 2:1 ლიტვა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნინო ხილაგაძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: სლავა გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლალი ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფურაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღლონტიაშვილი, ბადრი კვიილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მისაიაშვილი, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge